№24(25) 21.06.1991

# სარბიელი

თავისუფალი სპორტული გაზეთი

ფასი 40 კაპიკი

საქართველოს მენეჯერთა კავშირი

## ნომერში:

**ეროვნული ჩემპიონატები**

ფეხბურთი, მძლეოსნობა, ხელბურთი

მე-2 — მე-8 გვერდი

**NBA-ს ახალი ჩემპიონი**

ჯორდანი და მისი გუნდი

მე-6 გვერდი

**„უილიამსის" ბენეფისი**

მოწამლულთა ტრიუმფი

მე-8 გვერდი



**9,90** ასეთია ამიერიდან ახალი მსოფლიო რეკორდი 100 მეტრზე რბენაში ვაჟთა შორის, რომელიც ნიუ-იორკში, „დოულინგ სტადიუმზე" დამყარდა 14 ივნისს, 17 საათსა და 32 წუთზე. ფოტოზე სწორედ ის მომენტია აღბეჭდილი, როდესაც ლეროი ბარელმა (ცენტრში) დაამარცხა ყოფილი რეკორდსმენი კარლ ლუისი (მარჯვნივ).

(იხ. მე-8 გვერდი).

## სპორტი+ტურიზმი=სამინისტროს

ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტი, მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი, ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტი, სპორტის დეპარტამენტი... სახელები წარამარა იცვლებოდა, მაგრამ, ვიდრე ტურიზმი არ „წაეშველა", სპორტული უწყება „სამინისტროს დონემდე" ვერ ამაღლდა. და აი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ბოლო სესიაზე მიიღეს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს შექმნის შესახებ. ახალ სამინისტროს სათავეში ჩაუდგა ცნობილი ფეხბურთელი და მწვრთნელი კახი ასათიანი. ბატონ კახის ამჯერად უკვე მინისტრის რანგში მოუწევს სპორტისა და ტურიზმის საქმეთა წარმართვა.

## ნაგანო

### „ოლიმპიადა-98"-ის დედაქალაქი

1998 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს იაპონიის ქალაქი ნაგანო უმასპინძლებს. ასე გადაწყვიტა ბირმინგემში გამართულმა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 97-ე სესიამ. კენჭისყრაში სოკ-ის 88 წევრი მონაწილეობდა. ნაგანოს ძირითადი კონკურენტი იყო აშშ-ს საკურორტო ქალაქი სოლტ-ლეიკ-სიტი. სამი წრის შემდეგ ნაგანო და სოლტ-ლეიკ-სიტი დაწინაურდნენ. ყველაფერი მეოთხე რაუნდში გადაწყდა: ნაგანომ 46 ხმა მიიღო, სოლტ-ლეიკ-სიტმა — 42.

ნაგანო შეიძლება ოლიმპიური მოძრაობის ვეტერანად ჩაითვალოს. საქმე ის გახლავთ, რომ ამ ქალაქმა აქამდე ორჯერ წამოაყენა თავისი კანდიდატურა, მაგრამ როგორც ხედავთ, მხოლოდ მესამე ცდა აღმოჩნდა იღბლიანი.

სოკ-ის 97-ე სესიაზე კიდევ ერთი საყურადღებო ამბავი მოხდა: სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს საკავშირო ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე ვიტალი სმირნოვი, რომელსაც კონკურენტი არც ჰყავდა.

— მიხარია, რომ ჩემმა ძველმა მეგობარმა ასეთი მნიშვნელოვანი პოსტი დაიკავა, — თქვა სოკ-ის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა, — ამან უნდა აღადგინოს კეთილი ურთიერთობა სოკ-სა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის. ყველამ უნდა იცოდეს: საბჭოთა კავშირს ჩვენ კვლავ მივიჩნევთ ოლიმპიური მოძრაობის ერთ-ერთ საყრდენად.

ძალიან კარგი, მაგრამ სოკ-ის პრეზიდენტმა, ჩვენი აზრით, ისიც უნდა იცოდეს, რომ თვითონ საბჭოთა სპორტს კარგა ხანია საყრდენი გამოეცალა და სმირნოვთან მისი პირადი ურთიერთობა საქმეს ვერ უშველის.

## თბილისი — ოლიმპია

### ჟურნალისტურ-სპორტული ავტოექსპედიცია

ქართული სპორტი საბოლოოდ და მთლიანად ჩამოშორდა საბჭოთა სტრუქტურებს და კანონიერად ესწრაფვის საერთაშორისო სპორტულ მოძრაობაში დამოუკიდებელი სტატუსის მოპოვებას. საქართველოს სპორტულმა ორგანიზაციებმა და სპორტსმენებმა საქვეყნოდ განაცხადეს, რომ მზად არიან აქტიურად ჩაებან მსოფლიოს სპორტულ ცხოვრებაში, კვლავაც ეერთგულონ სპორტის მაღალჰუმანურ, საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს და, როგორც სუვერენული ქვეყნის წარმომადგენლები, აღიარებენ მხოლოდ საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციების უზენაესობას. საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებში ჩვენი გაწევრიანების ცდებს, სამწუხაროდ, ჯერჯერობით სასურველი შედეგები არ მოჰყოლია ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში, ოფიციალურ ტურნირებში საქართველოს სპორტსმენთა დამოუკიდებელი მონაწილეობა ამ ეტაპზე მრავალ სირთულესთან არის დაკავშირებული. სპორტული ბლოკადის გასარღვევად აუცილებელია გამოვიყენოთ ყველა საშუალება, რათა ხმა მივაწვდინოთ მსოფლიოს სპორტულ საზოგადოებრიობას, ყველას გავაცნოთ ჩვენი სამართლიანი მისწრაფება, უფრო ფართოდ წარმოვაჩინოთ ქართული სპორტის სახელოვანი ისტორია. ვფიქრობთ, რომ ამ საქმეში თავის წვლილს შეიტანს ჩვენი ჟურნალისტურ-სპორტული ექსპედიცია, რომელიც ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს სპორტსმენთა მონაწილეობის 40 წლისთავს ეძღვნება.



ექსპედიციის მიზანი: ქართული სპორტის პროპაგანდა, საერთაშორისო კონტაქტების გაფართოება, ჩვენი სპორტის პრობლემებისადმი მსოფლიოს სპორტული საზოგადოებრიობის ყურადღების მიპყრობა.

დევიზი: „სპორტი, მშვიდობა, მეგობრობა".

მარშრუტი (ძირითადი პუნქტები): თბილისი-ქუთაისი-ბათუმი-ტრაპიზონი-სამსუნი-სტამბული-სალონიკი-ათენი-ოლიმპია.

თაოსნები: საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია, გაზეთ „სარბიელის" რედაქცია, ასოციაცია „ფალავანი".

ექსპედიცია დაგეგმილია 1992 წლის მაისისათვის და დაახლოებით 18-20 დღეს გასტანს. ტრანსპორტი — მსუბუქი ავტომანქანები. ექსპედიციის შემადგენლობაში შევლენ სპორტული ჟურნალისტები, ცნობილი სპორტსმენები, სპორტული და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები, სულ 28-30 კაცი).

ექსპედიციის მონაწილენი გაჩერების პუნქტში შეხვდებიან ადგილობრივი ხელისუფლების, სპორტული და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებს, ისაუბრებენ ქართული სპორტის წარსულსა და მომავალზე, მოაწყობენ ჩვენი სპორტის მიღწევების ამსახველ ფოტოგამოფენებს, გაავრცელებენ საქართველოს სპორტული ცხოვრებისადმი მიძღვნილ ცნობარებს, ალბომებს, ბუკლეტებს, ვიდეომასალას, დაესწრებიან ოლიმპიური ცეცხლის დანთების ცერემონიალს, მოინახულებენ ოლიმპიის ისტორიულ ადგილებს, საერთაშორისო ოლიმპიურ აკადემიას.

ექსპედიციას მხარს უჭერენ: საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტრო, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, ეროვნული სპორტული საზოგადოება „შევარდენი", საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირი, პონტოელი ბერძნების თბილისის საზოგადოება.

ვინ იქნება შემდეგი?

**ნუ გადადებთ გადაწყვეტილების მიღებას, ნუ გაუშვებთ ხელიდან რეკლამის ჩინებულ შანსს. გაითვალისწინეთ — ავტოექსპედიცია მოძრავი რეკლამაა.**

**თუ ექსპედიციის სპონსორობას მოისურვებთ, დაგვიკავშირდით ტელეფონით: 38-89-93 (გაზეთ „სარბიელის" რედაქცია).**



საინიციატივო ჯგუფი



გია ახალაძის ფოტო

„იბერია“ — „დილა“ 2:0

## ეროვნული ჩემპიონატი

XVII ტური

მერცხალი — ალაზანი 4:0
დილა — ოდიში 1:0
კოლხეთი — ცხუმი 3:3
სანავარდო — ბათუმი 1:0
მზიური — კოლხეთი-13 2:0
სამგურალი — ქუთაისი 2:5
ივერია — გორდა 2:1
შევარდენი-06 — გურია 0:1
ამირანი — იბერია 0:0
სულორი — მარგვეთი-1:0

X, გამოტოვებული ტური

შევარდენი-06 — სამგურალი 1:1
კოლხეთი-13 — ბათუმი 1:0
გორდა — ოდიში 2:0
გურია — მერცხალი 2:0
იბერია — დილა 2:0
მარგვეთი — კოლხეთი 4:2
სულორი — სანავარდო 6:2
ამირანი — მზიური 4:3
ალაზანი — ივერია 2:0

### გათამაშების ცხრილი
#### მდგომარეობა 20 ივნისისათვის

| | | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | იბერია (თბილისი) | 17 | 13 | 4 | 0 | 38-4 | 43 |
| 2. | გურია (ლანჩხუთი) | 17 | 12 | 4 | 1 | 29-12 | 40 |
| 3. | ბათუმი (ბათუმი) | 17 | 9 | 2 | 6 | 24-17 | 29 |
| 4. | ქუთაისი (ქუთაისი) | 16 | 9 | 2 | 5 | 30-26 | 29 |
| 5. | ცხუმი (სოხუმი) | 16 | 8 | 3 | 5 | 31-20 | 27 |
| 6. | კოლხეთი-13 (ფოთი) | 17 | 8 | 3 | 6 | 24-18 | 27 |
| 7. | ოდიში (ზუგდიდი) | 17 | 8 | 2 | 7 | 30-21 | 26 |
| 8. | მარგვეთი (ზესტაფონი) | 17 | 8 | 2 | 7 | 28-26 | 26 |
| 9. | გორდა (რუსთავი) | 17 | 7 | 4 | 6 | 31-17 | 25 |
| 10. | ალაზანი (გურჯაანი) | 17 | 7 | 1 | 9 | 23-30 | 22 |
| 11. | დილა (გორი) | 17 | 6 | 3 | 8 | 23-28 | 21 |
| 12. | სულორი (ვანი) | 17 | 6 | 3 | 8 | 27-34 | 21 |
| 13. | სამგურალი (წყალტუბო) | 17 | 6 | 3 | 8 | 18-28 | 21 |
| 14. | მერცხალი (ოზურგეთი) | 17 | 6 | 1 | 10 | 19-28 | 19 |
| 15. | შევარდენი-06 (თბილისი) | 17 | 5 | 4 | 8 | 26-23 | 19 |
| 16. | მზიური (გალი) | 17 | 5 | 4 | 8 | 19-26 | 19 |
| 17. | ამირანი (ოჩამჩირე) | 17 | 4 | 5 | 8 | 22-29 | 17 |
| 18. | კოლხეთი (ხობი) | 17 | 4 | 4 | 9 | 22-29 | 16 |
| 19. | სანავარდო (სამტრედია) | 17 | 4 | 4 | 9 | 16-39 | 16 |
| 20. | ივერია (ხაშური) | 17 | 4 | 2 | 11 | 11-36 | 14 |

# მეორედ — მეორე?!

პირველი — „იბერია“, მეორე — „გურია“... როგორც ჩანს, საქართველოს წლევანდელი ჩემპიონატის შედეგიც შარშანდელის ანალოგიური იქნება. ლანჩხუთელთა უფროს მწვრთნელს, გია იმნაძეს პირველად ასეთი კითხვა დავუსვი:

**— ხომ არ ჩამოყალიბდა მოთამაშეებში ერთგვარი „მეორე გუნდის“ ფსიქოლოგია?**

— არა, პირველივე ტურიდან ბრძოლაში ვართ ჩართული.

**— თქვენს მთავარ კონკურენტს რა უპირატესობა აქვს?**

— „იბერია“ სტაბილური გუნდია. მას საუკეთესო ახალგაზრდობა ჰყავს. ჩვენს შედარებით ხანდაზმულ გუნდს უჭირს ერთ დონეზე თამაში.

**— რას გვეტყვით გუნდის ხვალინდელ დღეზე?**

— ჩვენი ახალგაზრდობა „გურია-2“-შია თავმოყრილი. ვერ ვიტყვი რომ იქ მოთამაშე ფეხბურთელებისგან ერთ-ორ წელიწადში დაუმარცხებელი გუნდი შეიკვრება, მაგრამ მაინც იმედიანად ვართ.

**— მსაჯის მიზეზით ქულა ხომ არ დაგიკარგავთ?**

— ამ სეზონში — არა.

**— იქნებ დღევანდელი და ძველი საკავშირო ჩემპიონატის დროინდელი „გურია“ შეგვედარებინათ?**

— საქმე ის არის, რომ ლანჩხუთში ყოველთვის თამაშობდნენ მოწვეული ფეხბურთელები. საკავშირო ჩემპიონატის უმაღლესი ლიგისათვის რომ ვემზადებოდით, რვა მოთამაშე გვყავდა სხვადასხვა გუნდიდან ჩამოყვანილი. წლეულს მხოლოდ საკუთარ ძალებს ვეყრდნობით.

**— ყველა გუნდს თავის ხელწერა აქვს.**

— ჩვენი გუნდის ხელწერას მაღალი კლასის ფეხბურთელები განაპირობებენ.

ილია ბაბუნაშვილი

# გამარჯვებაც ასეთი უნდა

ჩვენს ნორჩ ფეხბურთელებს, არანაკლები, ზოგჯერ კი უფრო მეტი წარმატებები ჰქონდათ, ვიდრე მათ უფროს კოლეგებს. ამაზე მეტყველებს სტატისტიკაც. ბოლო ხანს ასეთ მიღწევათა რიცხვმა მკვეთრად იკლო, მაგრამ ამას მათ ნიჭსა და უნართან არავითარი კავშირი არ აქვს, უბრალოდ, ჩვენ ფეხბურთს, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, თითქმის ყველგან გზას ულობავენ.

მაგრამ ბავშვთა ფეხბურთში ზოგჯერ ხერხდება ამ ჯებირის გარღვევა. ასეთი შემთხვევები არც ისე ხშირია და ამის გამო მიღწეული წარმატება განსაკუთრებით სასიხარულოა.

კრასნოდარში გამართულ 1979 წელს დაბადებულთა საფეხბურთო ტურნირში გამარჯვება იზეიმა თბილისის 35-ე სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლის გუნდმა (მწვრთნელები მერაბ წიკლაური და ვასილ ჰეიშვილი). მათ ჯერ ფრედ ითამაშეს ადგილობრივ „იუნოსტთან“ (0:0), შემდეგ კი ყველა — შვიდივე მეტოქეს სძლიეს და 13 ქულით პირველი ადგილი დაიკავეს. შეჯიბრების საუკეთესო მეკარედ აღიარეს გიორგი ვაჩნაძე, მცველად — მიხეილ ჩაჩუა. ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, 7 მატჩში ნორჩმა ქართველმა ფეხბურთელებმა მხოლოდ ერთი გოლი გაუშვეს, მეტოქეს კი 17-ჯერ (!) განაცდევინეს ეს უსიამო პროცედურა.

მარიკა მელქაძე





110 მეტრ თარჯრბენში ფინალური გარბენი. მარცხნიდან მეორე — გელა ვეშაპიძე

# ნამდვილი კლუბი უკეთესია

საქართველოს მძლეოსანთა წლევანდელი ჩემპიონატი ახალი, ექსპერიმენტული სახით ჩატარდა ამ რამდენიმე დღის წინ. საერთოდ, სიახლე შეიძლება მიიღო ან არ მიიღო, გააჩნია, რას მოიტანს იგი. ამჯერად, ვფიქრობ, შეჯიბრებაზე განსაკუთრებით საგულისხმო არაფერი მომხდარა.

ისე კი, ახალი წესის დანერგვა კეთილი ზრახვით იყო ნაკარნახევი. სურდათ როგორმე დაეძლიათ ასპარეზობათა ჩატარების მონოტონური სისტემა, როცა პირველობა ორი-სამი სპორტსაზოგადოების წარმომადგენელთა შორის იმართებოდა და გუნდური შეჯიბრების სახე და შედეგი წინდაწინვე ცნობილი იყო. ამ მიზნით კი აი, რა გადაწყვიტეს:

უფრო ადრე დანერგილი რეიტინგების სისტემის მიხედვით გამოვლენილ რესპუბლიკის ათ საუკეთესო მწვრთნელს უფლება მისცეს თავიანთი გუნდები დაეკომპლექტებინათ. ამით საქართველოს ჩემპიონატი ამ ახალშეკოწიწებული გუნდების სარბიელად იქცა. მართალი უნდა ითქვას, ზოგიერთ მწვრთნელს ეს სიახლე ჭკუაში არ დაუჯდა, მაგრამ უკვე მიღებულ გადაწყვეტილებებს მაინც დაემორჩილნენ. სარბიელზე სულ 9 გუნდი გამოვიდა, მაგრამ ზოგიერთი სრულად არ იყო დაკომპლექტებული გასაგები მიზეზების გამო: ჩვენში მძლეოსნობის საგრძნობი დეფიციტია.



თამარ შანიძე

უკმაყოფილო მწვრთნელები შესაძლოა მართალნიც იყვნენ. ის მაღალი რეიტინგები ზოგმა ერთადერთი მოწაფის წარმატების წყალობით მოიპოვა. ახლა ეს მწვრთნელები გუნდის ხელმძღვანელის რანგში აღზევდნენ, რისთვისაც ყველა არ იყო მზად და ზოგიერთს, უკვე გითხარით, არც საამისო სურვილი ჰქონდა. აი, სტიმული კი თითქოს უნდა ჰქონოდათ, რადგან ის სამი საუკეთესო გუნდი, რომელიც 10500 ქულას ან მეტს დააგროვებდა, შესაბამისად 4000, 3000 და 2000 მანეთს მიიღებდა. ეს საჩუქარი კი შემდეგ მთელ გუნდზე და, ცხადია, მწვრთნელზეც ნაწილდებოდა.

სიახლის მიზანი, იქნებ მიხვდით, შეჯიბრებაში საკლუბო სპორტისთვის ნიშანდობლივი მწვავე მეტოქეობის ელემენტების შეტანაც იყო. მაგრამ „ნორმალურ“ კლუბში მისი სახელის დაცვას სპორტსმენები ღირსების საქმედ თვლიან, ახლა ასე სასწრაფოდ, დროებით ერთად თავმოყრილ მძლეოსნებს, ბუნებრივია, ასეთი გრძნობა არ ამოძრავებდათ, მით უმეტეს, რომ არც ისე იშვიათად მწვრთნელები ცდილობდნენ ერთმანეთისაგან გადაებირებინათ „შეგირდები“.

სხვათა შორის, სიახლემ ვერც შეჯიბრების მონაწილეთა გაზრდას შეუწყო ხელი, რადგან შედარებით სუსტი სპორტსმენი არავის უნდოდა... ოღონდ არ იფიქროთ, რომ შეჯიბრების ახალმა წესმა საქართველოს ჩემპიონატი დააზარალა. ასპარეზობა ძველი წესითაც რომ გამართულიყო, სურათი დაახლოებით იგივე იქნებოდა. აქ ყველაზე უკეთესი გამოსავალი ნამდვილი კლუბების შექმნაა, რასაც, სიმართლე უნდა ითქვას, ითვალისწინებს კიდეც საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის სამოქმედო პროგრამა. სამართლიანობა მოითხოვს აქ ისიც ითქვას, რომ შეჯიბრებაზე დანერგილმა ექსპერიმენტმა თავისებურად მაინც გაამართლა ჩემპიონატის ბოლო დღეს, როცა გამოიკვეთა გუნდური ბრძოლის სურათი და თითოეულ დისციპლინაში გამართულ შეჯიბრებას განსაკუთრებული ფასი დაედო. თავსხმა წვიმის მიუხედავად, რომელიც სწორედ ასპარეზობის დროს წამოვიდა, მონაწილეებს არც შეჯიბრების, არც ჭომაგობის აზარტი განელებიათ.



ნინო ონაშვილი

თუ თვითონ შეჯიბრებაზე ვიტყვით რამდენიმე სიტყვას, ერთადერთი, რაც ნამდვილად იმსახურებდა ამ სახელს, იყო ვაჟთა ასპარეზობა 110 მეტრზე თარჯრბენში. ეს შეჯიბრება მართლაც შესაშინავი სანახაობა გამოდგა და შედეგებიც, ჩვენი მძლეოსნობის პირობაზე, გამორჩეული იყო. საგარეჯოელი გელა ვეშაპიძე დისტანციის ბოლოს „გაექცა“ მეტოქეებს და პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი — 14,25. რუსთაველმა ევგენი გორგაძემ მეორე ადგილი დაიკავა (14,35). თბილისელი იგორ ივანოვი მესამე იყო (14,43). მისი თანაქალაქელი ვიაჩესლავ ვასილიევი — მეოთხე (14,73). ჩვენ, ამ შემთხვევაში, შეჯიბრების სიმძაფრე გვაქვს მხედველობაში, თორემ სხვა რამდენიმე სახეობაშიც მძლეოსნებმა საკმაოდ კარგი შედეგები აჩვენეს: წყალტუბოს წარმომადგენელმა მერაბ ყურაშვილმა ბირთვი 17,45 მეტრზე ჰკრა, თბილისელმა მაია ხიდაშელმა 400 მეტრი 54,66 წამში დაფარა, ხოლო იმავე მანძილზე თარჯრბენში — 58,66 წამი აჩვენა. ბადროს ტყორცნაში გაიმარჯვა ნინო ონაშვილმა (51,90), უროს ტყორცნაში — იოსებ შავერდაშვილმა (75,90მ). თამარ შანიძემ მოიგო ორივე სპრინტერული დისტანცია, 100 მეტრი 11,89 წამში დაფარა, 200 მეტრი — 23,91 წამში.

რაც შეეხება გუნდურ პირველობას, გაიმარჯვა ომარ ოდიშვილის მიერ შეგროვებულმა გუნდმა (11393). იგი, საერთოდ, მტყორცნელთა მწვრთნელია (მათ შორის იოსებ შავერდაშვილისაც), მაგრამ ამ შემთხვევაში სხვა მძლეოსნებიც დაიმატა. მეორე ადგილი დაიკავა მარინა შჩოგოლევას „ნაკრებმა“ (11377), მესამე — ავთანდილ ბერიძის „შეგირდებმა“ (10046). როგორც ხედავთ, „ავთოს გუნდმა“ საჭირო 10500 ქულა ვერ მოაგროვა და ფულადი პრემიის გარეშე დარჩა.

(ჩემპიონატის ტექნიკური შედეგები იხილეთ მე-6 გვ.)

გიორგი ჩოჩიშვილი,
გია ახალაძის ფოტოები

# სავალი იოლი არ იქნება

ხელბურთელთა პირველი ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტურმა, რომელმაც უკომპრომისო ბრძოლაში ჩაიარა, სატურნირო ცხრილში ყველა გუნდს თავისი ადგილი მიუჩინა. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხელბურთელებმა, რომლებიც ლიდერობდნენ ჩემპიონატში, დასკვნით შეხვედრებშიც ალმაცერობით ითამაშეს და 48 ქულით პირველი ადგილი დაიკავეს. 42-42 ქულა მოაგროვეს ვეტერანთა გუნდმა და „მამულმა", მაგრამ ერთმანეთთან შეხვედრაში უპირატესობის გამო მეორე ადგილი ვეტერანებს მიეკუთვნათ. უნდა ითქვას, რომ სტუ-სა და ვეტერანთა გუნდები თავიდანვე ფავორიტებად ითვლებოდნენ. მათი წარმატება არავის გაუკვირვებია, აი „მამულმა" კი სიურპრიზი შემოგვთავაზა. გუნდის ხელმძღვანელობის (უფროსი მწვრთნელი რევაზ ჰანტურია) და ხელბურთელების მონდომებამ კარგი ნაყოფი გამოიღო. ალსანიშნავია სპონსორის — მექანიზაციის მობილური სამქროს დამსახურება, რომელმაც ფინანსურად ხელი მოუმართა „მამულს".

ბოლო ტურს ცხრილის ქვედა ნაწილში არსებითი ცვლილებები არ შეუტანია. ეს იყო, კვლავ არ გამოცხადდნენ სათამაშოდ თელავისა და ქუთაისის გუნდები.

ეს გუნდები მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და ვერ გაუძლეს ჩემპიონატის მარათონს; — გვითხრა საქართველოს ხელბურთის ფედერაციის ალმასკომის წევრმა, სტუ-ს ხელბურთელთა უფროსმა მწვრთნელმა მერაბ მეტრეველმა, — ცხადია, ეს ამბავი ხინჯად ადევს ჩემპიონატს, მაგრამ ტურნირმა, ჩემი აზრით, მთლიანობაში კარგი შთაბეჭდილება დატოვა და



— კალენდარი იმ პრინციპით შევადგინეთ, რომ თბილისის „ქარიშხალას" ხელი არ შეშლოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ქართულმა სპორტმა უარი თქვა მოსკოვთან თანამშრომლობაზე, „ქარიშხალამ" ცხადია, თავი დაანება საკავშირო პირველობას. ამან ბევრი გაუთვალისწინებელი პრობლემა წარმოშვა, რამაც ეროვნული ჩემპიონატის მსვლელობისას იჩინა თავი.

**— შომავალი ჩემპიონატი რა სისტემით გაიმართება?**

— ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევია. არსებობს რამდენიმე მოსაზრება: მეორე ჩემპიონატი გაიმართოს პირველის ანალოგიურად, ორ წრედ ან მოვაწყოთ შესარჩევი ტურნირი ერთ წრედ და ოთხი უძლიერესი გუნდი უმაღლეს ლიგაში ვათამაშოთ. ვგეგმავთ აგრეთვე საქართველოს თასის გათამაშებას, საერთაშორისო ტურნირს თბილისის დაძმობილებული ქალაქების გუნდების მონაწილეობით.

**— ხელბურთის საკავშირო ფედერაციასთან რა დამოკიდებულება გაქვთ?**

— „ზემოდან" ჯერჯერობით არაფერი ისმის. რაც შეეხება რუსეთის გუნდებს, მათთან გვაქვს კონტაქტი და ამხანაგურ თამაშებსაც ვმართავთ. ცხადია, არაოფიციალური ურთიერთობებით შორს ვერ წავალთ. აუცილებელია საერთაშორისო ფედერაციაში გაწევრიანება. განაცხადი უკვე გავაგზავნეთ, პასუხს ველოდებით.

ქართული სპორტი ახალ, გაუკვალავ გზას დაადგა. ამ გზით მიდის ქართული ხელბურთიც. სავალი, ცხადია, იოლი არ იქნება, მაგრამ იმედი დავიტოვოთ, რომ საერთო მეცადინეობებითა და ძალისხმევით მიზანს მივაღწევთ.

ზვიად შათირიშვილი.



რესპუბლიკის ჩემპიონი — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი. სხედან (მარცხნიდან): ზ. მაჩაბლიძე, ქ. ჰაფოძე, ა. ბოკოჩაძე, ვ. უზულავა, ნ. სალუქვაძე; დგანან (მარცხნიდან): ვ. მეიფარიანი, ვ. მჟავანაძე, ი. კეკელიძე, ქ. მერკვილიშვილი, მ. შენგელია, მწვრთნელი მ. მეტრეველი.

ჩემპიონატის საბოლოო ცხრილი

| | მ. | ფ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| 1.სტუ | 16 | 0 | 2 | 48 |
| 2.ვეტერანები | 14 | 0 | 4 | 42 |
| 3.საუ-„მამული" | 14 | 0 | 4 | 42 |
| 4.„ოქროს ვერძი" | 10 | 1 | 7 | 31 |
| 5.„მართვე-I" | 9 | 1 | 8 | 28 |
| 6.თელავი | 8 | 0 | 10 | 24 |
| 7.სსფკი | 7 | 1 | 10 | 22 |
| 8.ზოოვეტი | 6 | 0 | 12 | 18 |
| 9.„მართვე-II" | 4 | 0 | 14 | 12 |
| 10.ქუთაისი | 0 | 1 | 17 | 1 |

ქართული ხელბურთის დიდი პოტენციალი წარმოაჩინა. თუ ადრე ყურადღების ცენტრში მხოლოდ ერთი გუნდი — თბილისის „ქარიშხალა" იყო, ახლა ვითარება იცვლება და ნიჭიერ, პერსპექტიულ მოთამაშეთა გამოვლენის მეტი საშუალება გვაქვს. ისიც სათქმელია, რომ ცალკეული გუნდების თამაშის დონე ტურიდან ტურამდე უმჯობესდებოდა. უწინარესად ეს „მამულისა" და „მართვე-I"-ზე ითქმის.

**— ძალიან კარგი, მაგრამ რას გვეტყვით საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდზე, რომელიც ერთ-ერთ ფავორიტად ითვლებოდა, თუმცა საბოლოოდ მეშვიდე ადგილი დაიკავა.**

— ეს ჩემპიონატის მოულოდნელობა იყო. მოგეხსენებათ, უმიზეზოდ არაფერი ხდება. ამ გუნდს არ ჰქონდა ნორმალური წვრთნის საშუალება, ხშირი იყო ტრავმა, ამას გარდა, ზოგიერთი ხელბურთელი უპასუხისმგებლოდ მოეკიდა ეროვნულ ჩემპიონატს.

**— ჩვენი ტურნირი დაიწყო, საქართველოს პირველი გუნდი ჯერ კიდევ საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობდა.**

— ეს ჩემი აზრია და უკვე გავაცანი ფედერაციას — ამერიკის პროფესიული კალათბურთის სისტემის მიხედვით. არის სხვა წინადადებებიც. გვინდა



# საქმეს გულით უნდა მოვეკიდოთ

ხელბურთელთა ჩემპიონატის შესახებ აზრის გამოთქმა ვთხოვეთ ვეტერანთა გუნდისა და ტურნირის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშეს ამბერკი ტაბიძეს:

— ასეთი პირველობის ჩატარება, რომელშიც უკლებლივ ყველა ხელბურთელი შეძლებს მონაწილეობის მიღებას, რა თქმა უნდა, მომავალშიც აუცილებელია. ოღონდ ესაა, რომ ყველა ხერიოზულად როდი მოეკიდა ამ მართლაც სასიკეთო საქმეს. ამიტომაც ხარვეზები საკმაოზე მეტი იყო, რაც გაისად აღარ უნდა განმეორდეს. შეჯიბრებას აკლდა ის საზეიმო ელფერი, რომელიც თან უნდა ხლდეს ასეთი რანგის ასპარეზობას. მაყურებელთა მოსაზიდად კარგი იქნებოდა დასკვნითი ტური მაინც ჩაგვეტარებინა სპორტის სასახლეში. საერთო საქმემ რომ მოიგოს, აუცილებლად უნდა გაიზარდოს მწვრთნელთა მატერიალური ანაზღაურება. კარგი იქნება, ძველ ხელბურთელებსაც შევუქმნათ ისეთი პირობები, რომ ისინი საყვარელ საქმეს დაუბრუნდნენ. პირველობაში ჩვენი გუნდის მონაწილეობაც იმას ისახავდა მიზნად, რომ მაგალითი მიგვეცა ახალგაზრდებისათვის. მართალია, ასაკის გამო ყველა მატჩში სათანადო დონეზე ვერ ვითამაშეთ, მაგრამ ვფიქრობ, ჩვენი საქმე გავაკეთეთ.

## გულშემატკივრის ცნობარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება)

ამ სახეობებში როგორც საქართველოს, ისე სსრ კავშირის რეკორდები ჩვენს თანამემამულეს დიმიტრი იოსელიანს ეკუთვნოდა, რომელმაც 1936 წლის 27 ოქტომბერს ადგილიდან სიგრძეზე ხტომაში ამერიკელი რეი იურის მსოფლიო მიღწევაც (3 მ. 47,5 სმ) გააუმჯობესა — 3 მ. 48,51 სმ.

1939 წლის 18 სექტემბერს მოსკოვში, ოსტატთა საკავშირო შეჯიბრებაზე, ნინო დუმბაძემ ბადროს ტყორცნაში თავისი პირველი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 49 მ, 11 სმ. მაგრამ ეს რეკორდიც იმავე მიზეზით (ძველი მიღწევა ეკუთვნოდა გერმანელ მძლეოსანს გიზელა მაუერმაიერს — 48 მ, 31 სმ) ოფიციალურად რეგისტრირებული არ ყოფილა. სახელოვანმა ქართველმა სპორტსმენმა მსოფლიო რეკორდი კიდევ ექვსჯერ გააუმჯობესა და ბოლოს, 1952 წელს, იგი 57 მეტრსა და 04 სანტიმეტრამდე აიყვანა.

რეკორდებსა და ჩემპიონებზე საუბარი კიდევ და კიდევ შეიძლება, მაგრამ მძლეოსნობაში, ისევე როგორც სპორტის სხვა სახეობებში, უმდლესი ოსტატობის საზომად ოლიმპიური თამაშები ითვლება. აქ მოპოვებულ წარმატებას, როგორც წესი, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და ეს საუბარიც საქართველოს სპორტსმენთა მიერ ოლიმპიადებზე ნაჩვენები შედეგებით დავამთავროთ. მით უფრო, რომ სალაპარაკო და თავმოსაწონი აქაც საკმაოდ ბევრი



1950 წელი. კიევი. სსრკ ჩემპიონატი მძლეოსნობაში. 80 მეტრზე თარჯრბენის მონაწილენი დისტანციაზე. მარცხნიდან პირველი — ცნობილი მოსკოველი მძლეოსანი და ფრენბურთელი ალექსანდრა ჩუდინა; მარჯვნიდან მეორე — ჩვენი თანამემამულე, რეკორდსმენი ელენე გოკიელი.

გვაქვს.

მაშ ასე: საქართველოს მძლეოსნებს (სულ 19 სპორტსმენს) მონაწილეობა



1960 წელი. რომი. XVII ოლიმპიური თამაშები. ამერიკელი ჯონ თომასი გამარჯვებას ულოცავს რობერტ შავლაყაძეს, რომელმაც ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა სიმაღლეზე ხტომაში.

აქვს მიღებული ცხრა ოლიმპიადაში. ოთხჯერ მათ უმაღლესი ჯილდო, ოქროს მედალი მოიპოვეს, სამჯერ — ვერცხლის, ოთხჯერ კი — ბრინჯაოს ჯილდო. ქრონოლოგიურად ეს წარმატებები ასე ნაწილდება:

1960 წ. რომი. XVII ოლიმპიადა. რობერტ შავლაყაძე. I ადგილი



თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი მძლეოსანი, სამი ოლიმპიური თამაშების (1968, 1972 და 1976 წ.წ.) ჩემპიონი და ერთი (1980 წ.) ვერცხლის პრიზიორი სამხტომში ვიქტორ სანეევი.

სიმაღლეზე ხტომაში — 216 სმ. ოლიმპიური რეკორდი.

1968 წ. მეხიკო. XIX ოლიმპიადა. ვიქტორ სანეევი. I ადგილი სამხტომში — 17 მ. 39 სმ. მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების რეკორდი.

1972 წ. მიუნჰენი. XX ოლიმპიადა. ვიქტორ სანეევი. I ადგილი სამხტომში — 17 მ. 35 სმ.

1976 წ. მონრეალი. XXI ოლიმპიადა. ვიქტორ სანეევი. I ადგილი სამხტომში — 17 მ. 29 სმ.

1952 წ. ჰელსინკი. XV ოლიმპიადა. ლევან სანაძე. II ადგილი ესტაფეტაში 4X100 მ. (ბ. ტოკარევთან, ლ. კალიაევთან, და ვ. სუხარევთან ერთად) — 40,3.

1980 წ. მოსკოვი. XXII ოლიმპიადა. საიდა გუნბა. II ადგილი შუბის ტყორცნაში — 67 მ. 76 სმ. ვიქტორ სანეევი. II ადგილი სამხტომში — 17 მ. 24 სმ.

1952 წ. ჰელსინკი. XV ოლიმპიადა. ნადეჟდა ხნიკინა-დვალიშვილი. III ადგილი 200 მ რბენაში — 24,2. ნინო დუმბაძე. III ადგილი ბადროს ტყორცნაში — 46 მ, 29 სმ.

1956 წ. მელბურნი. XVI ოლიმპიადა. ნადეჟდა დვალიშვილი. III ადგილი სიგრძეზე ხტომაში — 6 მ, 07 სმ.

1988 წ. სეული. XXIV ოლიმპიადა. მაია აზარაშვილი. III ადგილი 4X100 მ ესტაფეტაში.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

რუბრიკას უძღვება ნოდარ გუგუშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ერთი დღე ტაისონთან

მოდი და ნუ შეგშურდება: „ნიუ-იორკ ტაიმსის" რეპორტიორს ფილ ბერგერს უფლება მისცეს მთელი დღე გაეტარებინა „გოლდენ გლოვზში", მოკრივე პროფესიონალთა საწვრთნელ ბანაკში (ლას-ვეგასი), სადაც ჟურნალისტებს შესვლა სასტიკად აკრძალული აქვთ. თანაც ეს მოხდა უმნიშვნელოვანესი ორთაბრძოლებისთვის მზადების დაწყების წინ, როცა თითოეული მოწინააღმდეგე მხარე „იზოლირებულია" გარე სამყაროსაგან და ყოველ ღონეს ხმარობს, რომ მისი საიდუმლოებანი არ გამჟღავნდეს... ერთი სიტყვით, გამონაკლისი დაუშვეს და ცნობილი ჟურნალისტი, კრივის მიმომხილველი ფილ ბერგერი „აკრძალულ ზონაში" აღმოჩნდა. იგი დილაადრიან ეწვია მსოფლიოს ექს-ჩემპიონ მაიკ ტაისონის გუნდს და გვიან საღამომდე არ გამოსულა ბანაკიდან.

ჟურნალისტის სამუშაო დღე დილის ხუთ საათზე დაიწყო, როცა მან და მოკრივეთა მწვრთნელმა რიჩი ჯაინეტიმ მიკროავტობუსით მაიკს გაუარეს. ნაცრისფერ საწვრთნელ კოსტიუმში გამოწყობილი ექს-ჩემპიონი ადრეულ სტუმრებს თავისი სახლის პარმაღზე უცდიდა და, რათა ლოდინში ძვირფასი დრო უქმად არ დაეკარგა, მოთელვაც დაეწყო — ადგილზე მეუხტებოდა, ხტოდა და თან მკლავებს ატრიალებდა.

— მიკროავტობუსი გოლფის მოედანთან შეჩერდა, სასტუმრო „დიუნს ოტელის" გვერდით, სადაც მეკრივის პერიოდში ტაისონის გუნდი ცხოვრობს. მაიკმა მანქანიდან გადმოსვლისთანავე დაიწყო ვარჯიში 2,3 მილზე ტრადიციული კროსით. დარბოდა და თან „თავის გასართობად", საკურისებით, „რანის" ჩანაწერებს ისმენდა (სამუსიკო ჯგუფის სახელია, „სირბილს" ნიშნავს). ამას 19 წუთი მოანდომა.

— როგორც ვიცი, მაიკმა მწვავედ განიცადა დუგლასთან დამარცხება. ახლა როგორ გრძნობს თავს? — ჰკითხა მწვრთნელს რეპორტიორმა.

— დიდებულად. მე მგონია, რომ უკვე საბოლოოდ დაიხსნა თავი ფსიქოლოგიური სტრესისაგან. ეს უკვე რადოკთან შეხვედრაშიც გამოჩნდა.

მოედნიდან ტანვარჯიშის დარბაზში გადაინაცვლეს. აქვე მეტი ჩაჯდომა, თითქმის ამდენივე ნახტომი, ტრენაჟორები...

ჯაინეტის ამ ეტაპისთვის დიდი სიმძიმეების გარეშე ვარჯიში დაუგეგმავს, რაც აუცილებელია კუნთების ელასტიკურობის შესანარჩუნებლად.

— ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ სისწრაფის, რეაქციის, მოქნილობის უნარის განვითარებას. ერთი პერიოდი მაიკმა თითქოს დაკარგა ეს თვისებები, მაგრამ ახლა პროგრესი აშკარაა, — შენიშნა მწვრთნელმა.

ამის შემდეგ მაიკი შინ დაბრუნდა. შხაპი მიიღო, სტაფილო და ფორთოხლის რამდენიმე ლუბანი შეჭამა, მერე საძინებელ ოთახში ავიდა და თერთმეტის ოც წუთამდე ეძინა. კიდევ ათი წუთის შემდეგ იგი უკვე საუზმობდა. მენიუ: შვრიის ფაფა ბანანით, ქათმის სოსისი, ზეითუნის ზეთით, წიწაკითა და ხახვით შეკმაზული სიმინდი, ანანასი, ვაშლის წვენი. ნასაუზმევს — მუსიკა, ტელევიზორი, ბაღში სეირნობა.

14 საათზე კრივის დარბაზში ხვდებიან ერთმანეთს. ეს მესამე ეტაპია. საწვრთნელი ბრძოლა ბრაიან ჯექსონთან, ახალგაზრდა პროფესიონალ მძიმეწონოსან მოკრივესთან. აქ უმთავრესი ყურადღება ექცევა თავში და კორპუსზე დარტყმათა სერიის დამუშავებას. მაიკი თითქოს ყველაფერს უნაკლოდ ასრულებს, მაგრამ მაინც წამდაუწუმ გაისმის ჯაინეტის შეძახილი: „იმოძრავე! სისწრაფე, სისწრაფე-მეთქი!" მწვრთნელი ცდილობს, რომ მაიკი ზედმეტად არ გაიტაცოს მძლავრმა დარტყმებმა სწრაფი და დახვეწილი იერიშების საზიანოდ. ჯაინეტის აზრით, ამ შეცდომამ საგრძნობლად გაუადვილა დუგლასს გამარჯვება ტოკიოში, სადაც ტაისონმა მსოფლიოს უძლიერესი მოკრივის ტიტული დაკარგა. მან იოლად მოიგერია მაიკის პირდაპირი, მძლავრი მეტოქის განადგურებისათვის გამიზნული სწორხაზოვანი იერიშები.

როგორც ჯაინეტი ამბობს, მაიკს არ სიამოვნებს იმ ორთაბრძოლის გახსენება, თუმცა მას შემდეგ უკვე დიდი დრო გავიდა. მარცხის მიზეზი ის იყო, რომ ტაისონმა სათანადოდ ვერ შეაფასა მეტოქის ძალა, საკუთარ შესაძლებლობებზე კი აშკარად გაზვიადებული წარმოდგენა ჰქონდა.

— მაგრამ ტოკიოში განცდილი მარცხი კარგი გაკვეთილი გამოდგა მაიკისათვის. მას შემდეგ საგრძნობლად გამოიცვალა, შეიცვალა ცხოვრების წესი, განსაკუთრებით — რინგს გარეთ. რეჟიმსაც მკაცრად იცავს. სამი თვეა ერთხელაც არ გაუცდენია ვარჯიში უნებართვოდ. ეტყობა, მიხვდა თავის შეცდომებს...

შემდეგ განრიგით სადილი იყო. მაიკმა გემრიელად მიირთვა სპაგეტი ქათმის გულებით, ყვავილოვანი კომბოსტო, სხვა ბოსტნეული, კრევეტები, ხილი (ალბათ არც ისე ბევრია ასეთი გოლიათისთვის). სადილობისას ხუმრობდა, მშვენიერ გუნებაზე იყო. საღამოს კიდევ ერთი და განსაკუთრებით სასიამოვნო მეცადინეობა ელოდა. მცირე შესვენების შემდეგ, 19 საათზე ის კვლავ შევიდა ტანვარჯიშის დარბაზში. ისევ ჩაჯდომა, აჭიმვა, ტრენაჟორები (ისევ და ისევ „რანის" მუსიკა). ამას მოჰყვა, როგორც თავად მაიკი ამბობს, „ჯილდო პატიოსანი შრომისათვის" — აერობიკის კლასში ვარჯიში მომხიბლავი ქალიშვილების მთელ გუნდთან ერთად.

— რადოკთან მატჩმა დაადასტურა ჩვენი პროგრამის სისწორე, — ამბობს ჯაინეტი. — მაიკი ახლა ხალისით ვარჯიშობს. საერთოდ, ძალიან შეიცვალა, დავაჟკაცდა, დადინჯდა, თუმცა სპორტული ჟინი და გამარჯვებისკენ სწრაფვა არ განელებია.

მაიკ ტაისონი ემზადება დონოვან რადოკთან განმეორებითი შეხვედრისათვის. სერიოზულად ემზადება, რადგან იცის, რომ მხოლოდ გამარჯვება გაუხსნის გზას სანუკვარი მიზნისკენ — მსოფლიო ჩემპიონ ევანდერ ჰოლიფილდთან შეხვედრისკენ. მართალია, ახლახან პრესაში გამოჩნდა ცნობა, თითქოს რადოკი უარს ამბობს მაიკთან შეხვედრაზე, რათა საშუალება მისცეს უკეთ მოემზადოს მსოფლიოს ჩემპიონობისათვის საბრძოლველად, მაგრამ კრივის ხელმძღვანელ ორგანოებს ჯერჯერობით ეს ოფიციალურად არ დაუდასტურებიათ.

მოამზადა
შალვა შალოლაშვილმა.





# ყველასათვის საოცნებო უიმბლდონი

„გრანდ სლემის" ჩათვლაში შემავალი ოთხი ტურნირიდან ყველაზე „ხანდაზმული" და, რაც მთავარია, ჩოგბურთის სამყაროში ყველაზე პრესტიჟულია ინგლისის ღია ჩემპიონატი, ანუ უიმბლდონის ტურნირის სახელით ცნობილი ასპარეზობა. ეს შეჯიბრება, რომელსაც 114 წლის ისტორია აქვს, ფაქტობრივად მსოფლიოს ჩემპიონატია ბალახის კორტებზე. საფუძველი კი მას, შეიძლება ითქვას, შემთხვევით ჩაეყარა. საქმე ისაა, რომ 1877 წელს სრულიად ინგლისის კროკეტისა და ლაუნ-ტენისის კლუბს გაუფუჭდა ბალახის სატკეპნი საგორავი და მის შესაკეთებლად საჭირო თანხის სამოვნელად შეჯიბრების მოწყობა გადაწყვიტა. სულ 22 ჩოგბურთელი შეიკრიბა. არც მაყურებელი იყო ბლომად — თამაშებს 200-მდე კაცი თუ დაესწრო. მაგრამ ორგანიზატორები მაინც კმაყოფილნი დარჩნენ, რადგან ტურნირის შინდა შემოსავალმა 10 გირვანქა სტერლინგი შეადგინა და ამ თანხით საგორავის შეკეთება მოხერხდა.

შედარებისათვის აღვნიშნავთ, რომ თანამედროვე ტურნირებში 256 სპორტსმენი გამოდის და მატჩებს ყოველდღიურად 30 ათასზე მეტი მაყურებელი ესწრება.

უიმბლდონში 18 შესანიშნავად მოვლილი მოედანია, ცენტრალურზე 100 დასაჯდომი ადგილია. ტურნირიდან ტურნირამდე, მთელი წლის მანძილზე, ამ კორტებზე ფეხსაც კი არავინ დგამს — მოედნებს „ასვენებენ" და სპეციალურად გამოყვანილი ჯიშის ბალახს „გონზე მოსვლის" საშუალებას აძლევენ.

უზარმაზარ ფულად ჯილდოსთან ერთად ვაჟთა პირველობაში გამარჯვებულს გადასცემენ პრეზიდენტის თასს, რომელიც ჯერ კიდევ 1907 წელს შესწირა კლუბს მეფე გეორგ მეხუთემ. ქალთა შორის ჩემპიონი კი, 1886 წლიდან მოყოლებული, ვერცხლის ვეებერთელა ლანგარით ჯილდოვდება.

მარშანდელი ტურნირის მოგებისათვის სტეფან ედბერგმა და ამერიკელმა მარტინა ნავრატილოვამ ჩოგბურთელთა შორის სარეკორდო თანხა, შესაბამისად 230 000 და 207 000 გირვანქა სტერლინგი მიიღეს.

აღსანიშნავია, რომ სწორედ ნავრატილოვას ეკუთვნის უიმბლდონში გამარჯვებათა რეკორდი — იგი 9-ჯერ გახდა ინგლისის ჩემპიონი (აქედან 6-ჯერ ზედიზედ). ვაჟთა შორის დღესაც საუკეთესოა ინგლისელი უილიამ რენშოუს შედეგი, რომელმაც გასული საუკუნის 80-იან წლებში შვიდჯერ მიაღწია წარმატებას.

უიმბლდონის სამგზის გამარჯვებული დასავლეთგერმანელი ბორის ბეკერი თავისი პირველი ტრიუმფის დღეს 17 წლისა და 7 თვის იყო. იგი ყველაზე ახალგაზრდაა ჩემპიონთა გრძელ სიაში. საინტერესოა, რომ პირველი ორი ტურნირი მან „პეშის" ფირმის ჩოგნით მოიგო. ყველაზე ხნოვანი გამარჯვებული კი არტურ გორია, რომელმაც 1909 წელს 41 წლის ასაკში მიაღწია წარმატებას.

1887 წელს ქალთა ასპარეზობა მოიგო ინგლისელმა შარლოტა დოდმა — მაშინ იგი მხოლოდ 15 წლისა და 10 თვის იყო. დიდი დღესაც რჩება თავისი ქვეყნის ყველაზე ნორჩ ჩემპიონად.

ყველაზე ხანგრძლივი ორთაბრძოლა 1969 წელს გამართეს ამერიკელმა ჩოგბურთელებმა პანჩო გონსალესმა და ჩარლზ პასარელმა. მათი 112-გეიმიანი მატჩი 5 საათისა და 20 წუთის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, გონსალესმა მოიგო — 22:24, 1:6, 16:14, 6:3, 11:9.

ჩვენმა სახელოვანმა სპორტსმენმა ალექსანდრე მეტრეველმა „ჩოგბურთის მეკად" წოდებულ უიმბლდონში ყველაზე დიდ წარმატებას 1973 წლის გათამაშებაში მიაღწია, როდესაც ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. სამწუხაროდ, გადამწყვეტ შეხვედრაში იგი დამარცხდა ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელ იან კოდეშთან.

საინტერესოა, რომ უიმბლდონში ტელეკამერები პირველად ჯერ კიდევ 1937 წელს დადგეს.

ორმაბათს 105-ედ აილებს სტარტს ყველა დანარჩენი ტურნირისაგან უდავოდ გამორჩეული შეჯიბრება, რომელშიც გამარჯვება კი არა, თუნდაც ერთხელ მონაწილეობის მიღებაც ყოველი ჩოგბურთელის სანუკვარი ოცნებაა.

ბია აბალაძე



უიმბლდონის სანოგბურთო ცენტრი

## უიმბლდონის ყველა ჩემპიონი (ვაჟები)

1877 — სგორი (დ.ბრიტანეთი)
1878 — ჰედოუ (დ.ბრიტანეთი)
1879-1880 — ჰარტლი (დ.ბრიტანეთი)
1881-1886 — უ.რენშოუ (დ.ბრიტანეთი)
1887 — ლაუფორდი (დ.ბრიტანეთი)
1888 — ე.რენშოუ (დ.ბრიტანეთი)
1889 — უ. რენშოუ (დ.ბრიტანეთი)
1890 — ჰამილტონი (დ.ბრიტანეთი)
1891-1892 — ბადელი (დ.ბრიტანეთი)
1893-1894 — პიმი (დ.ბრიტანეთი)
1895 — ბადელი (დ.ბრიტანეთი)
1896 — მაჰონი (დ.ბრიტანეთი)
1897-1900 — რ. დოჰერტი (დ.ბრიტანეთი)
1901 — ა.გორი (დ.ბრიტანეთი)
1902-1906 — ჰ.დოჰერტი (დ.ბრიტანეთი)
1907 — ბრუქსი (ავსტრალია)
1908-1909 — ა.გორი (დ.ბრიტანეთი)
1910-1913 — უალდინგი (ახ.ზელანდია)
1914 — ბრუქსი (ავსტრალია)
1915-1918 — არ გათამაშდა
1919 — პატერსონი (ავსტრალია)
1920-1921 — ტილდენი (აშშ)
1922 — პატერსონი (ავსტრალია)
1923- ჯონსტონი (აშშ)
1924 — ბოროტრა (საფრანგეთი)
1925 — ლაკოსტი (საფრანგეთი)
1926 — ბოროტრა (საფრანგეთი)
1927 — კოშე (საფრანგეთი)
1928 — ლაკოსტი (საფრანგეთი)
1929 — კოშე (საფრანგეთი)
1930 — ტილდენი (აშშ)
1931 — ვუდი (აშშ)
1932 — უაინსი (აშშ)
1933 — კრაუფორდი (ავსტრალია)
1934-1936 — პერი (დ.ბრიტანეთი)
1937-1938 — ბაჯი (აშშ)
1939 — რიგსი (აშშ)
1940-1945 არ გათამაშდა
1946 — პეტრა (საფრანგეთი)
1947 — კრამერი (აშშ)
1948 — ფალკენბურგი (აშშ)
1949 — შრედერი (აშშ)
1950 — პეტი (აშშ)
1951 — სევიტიი (აშშ)
1952 — სეჯმენი (ავსტრალია)
1953 — სეიქსასი (აშშ)
1954 — დრობნი (ეგვიპტე)
1955 — ტრაბერტი (აშშ)
1956-1957 — ხოადი (ავსტრალია)
1958 — კუპერი (ავსტრალია)
1959 — ოლმედო (აშშ)
1960 — ფრეზერი (ავსტრალია)
1961-1962 — ლეივერი (ავსტრალია)
1963 — მაკკინლი (აშშ)
1964-1965 — ემერსონი (ავსტრალია)
1966 — სანტანა (ესპანეთი)
1967 — ნიუკომბი (ავსტრალია)
1968-1969 — ლეივერი (ავსტრალია)
1970-1971 — ნიუკომბი (ავსტრალია)
1972 — სმიტი (აშშ)
1973 — კოდეში (ჩსსრ)
1974 — კონორსი (აშშ)
1975 — ეში (აშშ)
1976-1980 — ბორგი (შვეცია)
1981 — მაკინროი (აშშ)
1982 — კონორსი (აშშ)
1983-1984 — მაკინროი (აშშ)
1985-1986 — ბეკერი (გფრ)
1987 — კეში (ავსტრალია)
1988 — ედბერგი (შვეცია)
1989 — ბეკერი (გფრ)
1990 — ედბერგი (შვეცია)

ეროვნული ბიბლიოთეკა

CHICAGO BULLS

# ხარის წელი

## ჩიკაგოელები გამარჯვებას ზეიმობენ

ასტროლოგიური კალენდრით „ხარის წელი" ექვსი წლის შემდეგ უნდა დადგეს. მაგრამ ჩიკაგოს კალათბურთის მოყვარულებისთვის „გამონაკლისი" გაკეთდა: „ხარის წელს" ისინი წლეულს, ივნისის თვეში აღნიშნავენ. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც მათმა საყვარელმა გუნდმა „ჩიკაგო ბულზმა" („ჩიკაგოელი ხარები") NBA-ს ჩემპიონატში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. „პლეი-ოფის" სუპერფინალში ჩიკაგოელებმა პირდაპირ გაანადგურეს "ლოს-ანჯელეს ლეიკერსი" — 4:1. და პირველად ამერიკის კალათბურთის ისტორიაში ავიდნენ ოლიმპზე.

ჯერ კიდევ სეზონის დაწყებამდე ჩიკაგოელი კალათბურთელები გულახდილად ამბობდნენ, რომ ჩემპიონატში გამარჯვება სურდათ. გუნდის მწვრთნელმა ფილ ჯექსონმა კი გულშემატკივრები გააოგნა თამამი განცხადებით: „წლევანდელი წელი ჩვენი წელია! მთელ სეზონს ამ დევიზით ჩავატარებთო". ბევრმა მიმომხილველმა ჯექსონის სიტყვები გუნდის შესაძლებლობათა რეალურ შეფასებად მიიღო. „ჩიკაგო ბულზი" ბოლო წლებში მართლაც ბევრჯერ მიუახლოვდა სანუკვარ მიზანს, მაგრამ მუდამ „დეტროიტ პისტონსი" უშლიდა ხელს. გასულ სეზონში აღმოსავლეთი ზონის ფინალში სწორედ ეს გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს. დეტროიტელებმა მეტოქეს ხელიდან გამოჰგლიჯეს გამარჯვება მეშვიდე მატჩში თავიანთ მოედანზე — 4:3.

სეზონის შედეგების შეჯამებისას ექსპერტები აღნიშნავდნენ, „ჩიკაგო ბულზის" მარცხის მიზეზი ის არის, რომ იგი ისევ „ერთი კალათბურთელის გუნდად" რჩებაო. იგულისხმებოდა სახელგანთქმული მაიკლ ჯორდანი. „როცა ის ხასიათზე ფორმაშია და მატჩში 30-35 ქულას აგროვებს, გუნდიც იმარჯვებს, მაგრამ საკმარისია მისმა შედეგიანობამ 20-25 ქულამდე იკლოს, რომ „ბულზის" დამარცხება გარდაუვალია", — ამბობდნენ ისინი. დეტროიტელებმა ერთი წლის წინ შეძლეს ამ განთქმული სნაიპერის ნეიტრალიზება.

წლევანდელ სეზონში ჩიკაგოელთა ტაქტიკაში გამოჩნდა სიახლე, რომელსაც გუნდმა ბოლოს წარმატებით შეასხა ხორცი. მწვრთნელმა ფილ ჯექსონმა, რომელიც კლუბს შარშან ჩაუდგა სათავეში, შეძლო საგრძნობლად შეეცვალა გუნდის შემტევი სტილი, რამაც ჯორდანი გაანთავისუფლა ძირითადი დატვირთვისაგან და თავდასხმაში სხვა მოთამაშეები გააქტიურა. ამასთან ერთად, გუნდში მოვიდა ორი ნიჭიერი ახალბედა — ბილ ამსტრონგი და სტესი კინგი. ახლებურად ათამაშდნენ ვეტერანებიც — მცველი ჯონ პაქსონი და ცენტრის მოთამაშე ბილ კარტრაიტი, რომლებიც ათეულ წელზე მეტია NBA—ში გამოდიან.

გასულ სეზონში „ბულზს" რეგულარულ ჩემპიონატში „პისტონსზე" ნაკლები ქულა ჰქონდა და ამიტომ აღმოსავლეთ ზონის ფინალის მეშვიდე, გადამწყვეტ მატჩს სტუმრად ატარებდა. სამაგიეროდ, წლეულს ჩიკაგოელებმა ყოველმხრივ გაუსწრეს თავიანთ მთავარ კონკურენტებს: „ბულზის" შედეგია 61 მოგება და 21 წაგება, „ბოსტონ სელტიქსისა" — 52 მოგება და 26 წაგება, „დეტროიდ პისტონსისა" — 50 მოგება და 32 წაგება. ეს ჩიკაგოელებს „საკუთარი მოედნის" უპირატესობას აძლევდა „პლეი-ოფის" ყველა ეტაპზე. ამავე დროს, მთავარ მეტოქეებისაგან „ბულზი" გადაურჩა „სამედიცინო პრობლემებს" და წამყვან მოთამაშეთა ჯანმრთელობამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა წარმატება.

რეგულარულ ჩემპიონატში ჩიკაგოელები ისე თამაშობდნენ, როგორც უწინ არასდროს უთამაშიათ. ჯორდანი ყოველ მატჩში საშუალოდ აგროვებდა თავის 32 ქულას, გუნდის სხვა წევრებიც ღირსეულ პარტნიორობას უწევდნენ თავიანთ ლიდერს: სრულად გამოვლინდა საუკეთესო გამთამაშებლის სკოტი პიპენის შესაძლებლობები. საშუალოდ მატჩში 18 ქულას აგროვებდა და „აღმოსავლეთის ვარსკლავთა ნაკრებშიც მოხვდა. საიმედოდ თამაშობდნენ თავდამსხმელი ჰორეის გრანტი, ცენტრის მოთამაშენი ბილ კარტრაიტი და უილ პერტიე, უკანა ხაზზე — ბილ ამსტრონგი და ჯონ პაქსონი.

სათასო მატჩების სერიის წინ პროგნოზები სხვადასხვაგვარი იყო. რაც შეეხება „ბულზს", ზოგიერთი მიმომხილველი ფიქრობდა, რომ გუნდს ფინიშზე ძალა არ ეყოფოდა, ჯორდანი კი მარტო ვერ შეძლებდა „ბლოკადის" გარღვევას. მაგრამ „პლეი—ოფის" სერიის დაწყებისთანავე სკეპტიკოსების ვარაუდი გამტყუნდა. „ბულზმა" პირველ წრეში გაანადგურა „ნიუ-იორკ ნიქსი" — 3:0. მეოთხედფინალში ასეთივე ბედი ეწია „ფილადელფია—76"—ს—4:1. ნახევარფინალში, რომელიც ამავე დროს აღმოსავლეთი ლიგის ფინალიც არის, ერთმანეთს ისევ შარშანდელი მეტოქენი შეხვდნენ: „ბულზი" და NBA-90—ის ჩემპიონი „დეტროიტ პისტონსი". მაგრამ შედეგი სულ სხვაგვარი გამოდგა: ჩიკაგოელებმა მოწინააღმდეგე დაამარცხეს ანგარიშით 4:0 (94:88,105:97, 113:107, 115:94). „ბულზს" მართლაც რომ ძალების დიდი რეზერვი აღმოაჩნდა, ჯორდანი კი ისევ აგროვებდა ქულების 30 პროცენტზე მეტს.

„დასავლეთ ზონაში" გამარჯვება „ლოს-ანჯელეს ლეიკერსმა" მოიპოვა. ამგვარად, NBA-ს თასის გათამაშების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ გუნდები, რომლებსაც ჟურნალისტები და გულშემატკივრები მათი ლიდერების —ირვინ „მეჯიქ" ჯონსონისა და მაიკლ ჯორდანის სახელით მოიხსენიებენ.

NBA-ში მოქმედებს ერთი დაუწერელი კანონი: შეიძლება ბრწყინვალე კალათბურთელი იყო, მაგრამ „დიდი" არასოდეს იქნები, თუ „NBA—ს ჩემპიონის წოდება ვერ მოიპოვე. ახლა მაიკლი „დიდი" კალათბურთელია...

2 ივნისს ჩიკაგოში შედგა ფინალის პირველი მატჩი, ჯორდანი მატჩის საუკეთესო მოთამაშე იყო. მან 36 ქულა დააგროვა, მაგრამ ამ დღეს ბედმა მაინც მეტოქეებს გაუღიმა, რომელმაც ჯორდანის გუნდს ბოლო წამებზე გამოჰგლიჯა ხელიდან გამარჯვება – 93:91. ასპარეზობის დაწყება საკუთარ მოედანზე წაგებით კატასტროფას ნიშნავს. მაგრამ, როგორც გამოირკვა, „ხარებს" თამაშის მაღალი პოტენციალი ჰქონიათ. მეორე მატჩში საკუთარ მოედანზე ჩიკაგოელებმა გადათელეს „ლეიკერსის" დაცვის – 107:86. წინ იყო სამი მატჩი ლოს-ანჯელესში. „ლეიკერსი" ჩემპიონი გახდებოდა იმ შემთხვევაში, თუ სამივე მატჩს მოიგებდა, „ბულზი" კი სტუმრად ერთი შეხვედრის მოგებითაც ინარჩუნებდა მწვერვალზე ასვლის შანსს, რადგან ორი ბოლო მატჩი შინ უნდა გაემართა. მაგრამ ისე, რაც შემდგომ მოხდა, საერთოდ, ძალზე იშვიათად მომხდარა NBA-ს ჩემპიონატის ფინალურ ბრძოლებში – ფილ ჯექსონის ბიჭებმა სამჯერ დაამარცხეს „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი" მისსავე მოედანზე – 104:96, 97:82 და 108:101... საერთო ანგარიშით 4:1.

მთელი ჩიკაგო ზეიმობდა თავისი გუნდის გამარჯვებას. მთელი ღამე ქუჩები ხალხით იყო სავსე. გულშემატკივრები ხმამაღალი შეძახილებით მიესალმებოდნენ „ხარის წელს" და „დიდ მაიკლს". მართლაც, ჯორდანს განუზომელი ღვაწლი მიუძღვის გუნდის წარმატებაში. მან მეხუთედ მოიპოვა NBA-ს ყველაზე შედეგიანი მოთამაშის სახელი და სათავეში ჩაუდგა NBA-ს „ყველა ვარსკლავის" სიმბოლურ ნაკრებს 1990-1991 წლების სეზონში, რომლებიც ჟურნალისტთა შორის მოწყობილი კენჭისყრის მიხედვით შედგა. მის გარდა გუნდში შევიდნენ: კარლ მელოუნი („იუტა ჯაზი"), ჩარლზ ბარკლი („ფილადელფია-76"), დევიდ რობინსონი („სან—ანტონიო სპურსი") და მეჯიქ ჯონსონი („ლოს—ანჯელეს ლეიკერსი").

სოსო დათიკაშვილი,
„სარბიელის" კორესპონდენტი აშშ-ში, ნიუ-იორკი.



მაიკლ ჯორდანი — NBA-ს საუკეთესო კალათბურთელი




## ჩემპიონატის წინ

### ყველას გზა რომში მიდის... რუსების გარდა

**24 ივნისს იტალიაში დაიწყება ევროპის XXVII ჩემპიონატი კალათბურთში.**

კონტინენტის ჩემპიონის ტიტულს ყველაზე მეტჯერ — თერთმეტჯერ ფლობდა საბჭოთა კავშირის ნაკრები. იუგოსლავიის ნაკრები ოთხჯერ იყო ევროპის ჩემპიონი (1973, 1975, 1977, 1989). ლიტვის ნაკრები — ორჯერ (1937, 1939), ხოლო ერთხელ (1935) წარმატებას მიაღწიეს ლატვიელებმა. ევროპის ჩემპიონები გახდნენ აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის (1946), ეგვიპტის (1949), უნგრეთის (1955), იტალიის (1983) გუნდები.

წინასწარ გათამაშებაში ყველაზე დიდ ხმაურს, რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირის ნაკრების წარუმატებლობა წარმოადგენდა. ევროპის ჩემპიონატი საბჭოთა კავშირის ნაკრების გარეშე ჩატარდება.

თებერვლის შუა რიცხვებში ჩატარდა კენჭისყრა და ჩემპიონატის მონაწილე რვა გუნდი ორ ჯგუფად დაიყო. პირველი ჯგუფი: იუგოსლავია, ესპანეთი, ბულგარეთი, პოლონეთი. მეორე ჯგუფი: იტალია, საბერძნეთი, საფრანგეთი, ჩეხოსლოვაკია. ქვეჯგუფების ორ-ორი უძლიერესი გუნდი იასპარეზებს ნახევარფინალში, ხოლო მათ შორის გამარჯვებული 29 ივნისს ფინალურ მატჩს გამართავს. პირველ ჯგუფში ფავორიტები, რასაკვირველია, იუგოსლავიის და ესპანეთის ნაკრებებია. ვარაუდობენ, რომ უფრო უკომპრომისო ბრძოლა შეიძლება იყოს მეორე ჯგუფში. უპირატესობა აქ ფავორიტებად იტალიის და საბერძნეთის ნაკრებს მიიჩნევს, თუმცა გამორიცხული არაა, რომ მათ დავაში აქტიურად ჩაერიოს საფრანგეთის ნაკრები. სიურპრიზი შეუძლია შემოგვთავაზოს ჩეხოსლოვაკიის გუნდმაც.

ალბათ, ძნელად თუ მოიძებნება ისეთი მიმომხილველი, რომელსაც იუგოსლაველთა საბოლოო წარმატებაში ეჭვი ეპარებოდეს. უკანასკნელ წლებში ეს გუნდი კვლავ აშკარა აღმავლობის გზაზეა. ბრწყინვალე გამარჯვება ევროპის 1989 წლის ჩემპიონატზე და მსოფლიოს ჩემპიონატზე არგენტინაში ამის ნათელი ილუსტრაციაა. იუგოსლაველთა წარმატება, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია მათი ლიდერების, დრაჟენ პეტროვიჩის, ვლადო დივაცის, ჟარკო პასპალის, ტონი კუკოჩის, დინო რაჯას, სტოიან ვრანკოვიჩის მაღალი ინდივიდუალური ოსტატობით. ერთმა უცხოელმა ჟურნალისტმა იუგოსლავიის ნაკრებს „ფანტასტიკური მანქანა" უწოდა. ნათქვამს წინ მხოლოდ ერთ სიტყვას — გონიერს დავუმატებდით. ბუნებრივია, მკითხველს აინტერესებს, მიიღებენ თუ არა ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობას იუგოსლაველი პროფესიონალები. ძალზე საეჭვოა ნაკრებში ვლადო დივაცის გამოსვლა, ვინაიდან NBA-ს ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ დივაცი, ალბათ, მაინც დასვენებას არჩევს, მით უმეტეს, რომ იუგოსლაველებს ძალზე არ უჭირთ. რაც შეეხება სახელგანთქმულ დრაჟენ პეტროვიჩს, რა გადაწყვეტილებას მიიღებს „კალათბურთის მოცარტი", მის სურვილზეა დამოკიდებული. მეორე წელია ნაკრებში თამაშისაგან თავს იკავებს კიდევ ერთი ცნობილი ოსტატი სტოიან ვრანკოვიჩი. პროფესიონალების გარეშეც იუგოსლავიის ნაკრები არის ევროპის ჩემპიონატის №1 ფავორიტი და თუ რამ სასწაული არ მოხდა, ისინი მეხუთედ დაეუფლებიან ჩემპიონის ტიტულს.

იუგოსლაველთა შესაძლო კონკურენტებად ყველაზე ხშირად ჩემპიონატის მასპინძელს, „სკუადრა აძურას" ასახელებენ. ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან საკუთარი კედლების ფაქტორი იტალიელებისათვის ძალზე ძლიერი სტიმული იქნება, ხოლო ოსტატობა „სკუადრა აძურას" წევრებს არასოდეს აკლდათ.

ევროპის ჩემპიონატზე ბოლო წლებში ბრწყინვალედ ასპარეზობს საბერძნეთის ნაკრები. ბერძნების ასეთ წარმატებას სავსებით სამართლიანად უკავშირდება მათი ლიდერის ნიკოს გალისის ბრწყინვალე თამაში. არგენტინის მსოფლიოს ჩემპიონატმა კარგად დაგვანახა, რომ საბერძნეთის ნაკრები თავისი აღიარებული ლიდერის გარეშეც ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენს.

ბოლო წლებში ესპანეთის ნაკრებმა შესამჩნევად უკლო თამაშს, რაც მის შედეგებსაც დაეტყო. მიმომხილველთა დიდი ნაწილი ამას გუნდის გაახალგაზრდავებას, თაობათა ცვლის პროცესს უკავშირებს თუმცა ესპანეთის განახლებულ ნაკრებს შესწევს უნარი საპრიზო ადგილებისათვის იბრძოლოს.

მიმომხილველთა შედარებით პატარა ჯგუფი საპრიზო ადგილების პრეტენდენტებს შორის ასახელებს საფრანგეთის ნაკრებს. საფრანგეთში კალათბურთი ახლა ძალზე დიდი პოპულარობით სარგებლობს და ევროპის ჩემპიონატზე ამ გუნდის წარმატება მოულოდნელი არავისთვის არ უნდა იყოს.

ჩეხოსლოვაკიის კალათბურთს ბრწყინვალე ტრადიციები და შესანიშნავი წარსული აქვს, თუმცა ბოლო ხანებში ეს გუნდი მეტად არასტაბილურად გამოდის. ძნელი სათქმელია, რას იზამს იგი ევროპის წლევანდელ ჩემპიონატზე. მაგრამ ერთი სიურპრიზი მან უკვე შემოგვთავაზა. საბჭოთა კავშირის ნაკრების „შევიწროება" ჩეხოსლოვაკიელთა უდავო წარმატებაა.

მერაბ კალანდაძე

## ტექნიკური შედეგები

### მძლეოსნობა

საქართველოს ჩემპიონატი. თბილისი. 14-16 ივნისი. ვაჟები. 100 მ. ზურაბ ყიფიანი („დინამო") და ალექსანდრე ადამოვი („შევარდენი") — 11,09 (ორივეს). 200 მ. ადამოვი — 22,33. 400 მ. ვლადიმერ ბორისოვი — 50,13. 800 და 1500 მ. ოლეგ ხოხლოვი (ორივე — „შევარდენი") — 1.54,22 და 3.54,27. 5000 მ. ანდრეი ნაუმოვი („მართვე") — 15.02,22. 10000 მ. ვალერი გედევანიშვილი — 33.00,24. 110 მ. თარჯრბენი. გელა ვეშაპიძე („შევარდენი") — 14,25. 400 მ. თარჯრბენი. იგორ ივანოვი („დინამო") — 52,97. 3 კმ. წინაღობებით. შალვა ნადირაძე (დამოუკიდებლად ვარჯიშობს) — 9.22,42. სიგრძე. მარკ მელისოვი — 740 სმ. სიმაღლე. ვლადიმერ მინაკოვი — 205 სმ. სამხტომი. ვასილ მახარაძე — 15,69 მ. ბირთვი. მერაბ ყურაშვილი (ყველა — „შევარდენი") — 17,45 მ. ბადრო. სერგეი დევიატკინი („დინამო") — 53,40 მ. შუბი. ამბროსი მატიაშვილი — 68,90 მ. ურო. იოსებ შავერდაშვილი (ორივე — „შევარდენი") — 75,90 მ. ქალები. 100 და 200 მ. თამარ შანიძე — 11,89 და 23,91. 400 მ. მაია ხადაშელი — 54,66. 800 მ. ეკატერინე თევზაძე (ყველა — „შევარდენი") — 2.27,77. 1500 მ. ეკატერინე კობალაძე — 5.04,05. 100 მ. თარჯრბენი. ეკატერინე ბოჭორიშვილი (ორივე — „მართვე") — 16,17. 400 მ. თარჯრბენი. ხიდაშელი — 58,66. სიმაღლე. მაია ნიკურაძე — 175 სმ. ბადრო. ნინო ონაშვილი — 51,20 მ. ბირთვი. ელვირა ურუსოვა (ყველა — „შევარდენი") — 17,62 მ. შუბი. მაკა ტაბუცაძე („მართვე") — 45,48 მ.

აშშ-ის ჩემპიონატი. ნიუ-იორკი. 100 მ. 1. ლეროი ბარელი — 9,90; 2. კარლ ლუისი — 9,93; 3. ანდრე კეისონი — 10,00. 200 მ. 1. მაიკლ ჯონსონი — 20,31; 2. ბარელი — 20,42; 3. ფლოიდ ჰერდი — 20,44. 400 მ. 1. ანტონიო პეტიგრიუ — 44,36; 2. ანდრიუ ვალმონი — 44,68. 800 მ. 1. მარკ ევერეტი — 1.44,71; 2. ჯონი გრეი — 1.44,83. 110 მ. თარჯრბენი. 1. გრეგ ფოსტერი — 13,29; 2. ჯეკ პირსი — 13,33; 3. რენალდო ნეჰემია — 13,36. 400 მ. თარჯრბენი. 1. დენი ჰარისი — 47,62; 2. კევინ იანგი — 47,94. 3 კმ. წინაღობებით. 1. მარკ კროგანი — 8.21,64; 2. დან ნელსონი — 8.22,90. სიგრძე. კარლ ლუისი — 8,64 მ; 2. მაიკლ პაუელი — 8,63 მ. სიმაღლე. ჰოლის კონვეი — 2,32 მ. ჰოკი. ტომ ბრაიტი — 5,70 მ. ქალები. 100 მ. 1. კარლეტა გიდრი — 10,94; 2. გვენ ტორენსი — 11,02; 3. ეველინ ეშფორდი — 11,12. 200 მ. ტორენსი — 22,38. 400 მ. 1. ლილი ლეტერვუდი — 49,66; 2. ჟარლ მაილსი — 50,19; 3. დიანა დიქსონი — 50,30. 800 მ. დელიზა ფლოიდი — 1.59,82. 1500 მ. სიუზი ფაივორი — 4.06,13. 100 მ. თარჯრბენი. გეილ დევერსი — 12,83. 400 მ. თარჯრბენი. 1. კიმ ბატენი — 54,18; 2. სანდრა ფერმერ-პატრიკი — 54,72. აშშ-ს ჩემპიონატზე მძლეოსნებმა 9 სახელ[illegible] (ვაჟებმა 100, 400, 800, 3 კმ წინაღობით რბენაში, 400 მეტრზე თარჯრბენში, სიგრძეზე ხტომაში, ქალებმა — 100 და 400 მეტრზე რბენაში და 400 მ თარჯრბენი) სეზონის საუკეთესო შედეგები აჩვენეს.

### ფრენბურთი

მსოფლიო ლიგა. ვაჟები. დამთავრდა პირველი წრე. „ა" ჯგუფი. 1. კუბა — 8 მოგება; 2. ჰოლანდია — 6; 3. საფრანგეთი — 3; 4. ბრაზილია — 2; 5. კანადა — 1. „ბ" ჯგუფი. 1. სსრკ — 7; 2. იტალია — 6; 3. აშშ — 4; 4. იაპონია — 2; 5. კორეა — 1.

### მხატვრული ტანვარჯიში

საერთაშორისო ტურნირი. ტოკიო. 1. ოქსანა სკალდინა (სსრკ) — 38,35; 2. ალექსანდრა ტიმოშენკო (სსრკ) — 38,05; 3. კრისტინა შიკეროვა (ბულგარეთი) — 37,75.

### ველოსპორტი

მრავალდღიანი ველორბოლა „ჯირო დ' იტალია". მე-17 ეტაპი. ვალ-დი-გარდენა-პოცა-დი-ფასა (165 კმ). 1. ფრანკო კიოჩოლი (იტალია) — 5:09,40; 2. კლაუდიო კიაპუჩი (იტალია) — 5:10.18; 3. ერიკ ბოიერი (საფრანგეთი) — 5:10.21. მე-18 ეტაპი. პოცა-დი-ფასა — კასტელფრანკო — ვენეტო (165 კმ). 1. სილვიო მარტინელო (იტალია); 2. სტეფანო ალოჩიო (იტალია). 3. იან სვორადა (ჩეხოსლოვაკეთი — ყველა — 4:36.34. მე-19 ეტაპი. კასტელ-ფრანკო-ვენეტო-ბრეშია (165 კმ). 1. ჯანი ბუნიო — 1:34.09; 3. კლაუდიო კიაპუჩი — 1:34.19. იგივე დრო აჩვენა დიდმა ჯგუფმა. მე-20 ეტაპი ბრეშია-კასტეჯიო (65 კმ). 1. ფრანკო კიოჩოლი — 1:33.17; 2. ჯანი ბუნიო — 1:34.09; 3. კლაუდიო კიაპუჩი — 1:34.19. 21-ე ეტაპი. ჩავია — მილანი (153 კმ). 1. მარიო ჩიპოლინი (იტალია) — 4:40.48. 2. ჯომოლოდინ აბდუჯაპაროვი (სსრკ) — 4:40,48; იგივე დრო აჩვენა დიდმა ჯგუფმა. საერთო ჩათვლა. 1. ფრანკო კიოჩოლი — 99:35.48; 2. კლაუდიო კიაპუჩი — 99:39.31; 3. მასიმილიანო ლელი (იტალია) — 99:41,49.

### ფარიკაობა

მსოფლიო ჩემპიონატი. ბუდაპეშტი. რაპირა. ქალები. 1. ჯოვანა ტრილინი (იტალია); 2. კლაუდია გრიგორესკუ (რუმინეთი); 3. ტატიანა სადოვსკაია (სსრკ) და საბინე ბაუ (გერმანია). დაშნა. ქალები 1. მარინა ხორვატი (უნგრეთი); 2. ევა-მარია იტნერი (გერმანია); 3. ოქსანა არმაკოვა (სსრკ); ხმალი 1. გრიგორი კირიენკო (სსრკ); 2. პეტერ აბაი (უნგრეთი); 3. ვადიმ გუტცაიტი (სსრკ) და დიორდ ნებალდი (უნგრეთი). დაშნა. ვაჟები 1. ანდრეი შუვალოვი (სსრკ); 2. რობერტ ფელისიაკი (გერმანია); 3. სერგეი კოსტარევი (სსრკ) და ივან კოვაჩი (უნგრეთი).

### კალათბურთი

ევროპის ჩემპიონატი. თელ-ავივი (ისრაელი). ქალები. პირველი ტური. „ა" ჯგუფი. ისრაელი — ჩეხოსლოვაკეთი — 91:90. „ბ" ჯგუფი. იუგოსლავია — იტალია — 83:61. მეორე ტური. „ა" ჯგუფი. ბულგარეთი — ჩეხოსლოვაკეთი — 72:66, უნგრეთი — ისრაელი — 74:62. „ბ" ჯგუფი. იუგოსლავია — სსრკ — 75:74, იტალია — პოლონეთი — 70:51. მესამე ტური. „ა" ჯგუფი. იუგოსლავია — პოლონეთი — 100:62, იტალია — სსრკ — 65:72. ნახევარფინალები. სსრკ — უნგრეთი — 93:80, იუგოსლავია — ბულგარეთი — 79:56. ფინალი. სსრკ — იუგოსლავია — 97:84, მატჩი მესამე ადგილისათვის. უნგრეთი — ბულგარეთი — 65:61; მატჩი V ადგილისათვის. ჩეხოსლოვაკეთი — პოლონეთი — 67:46; მატჩი VII ადგილისათვის. იტალია — ისრაელი — 78:65. საერთაშორისო ტურნირი. პო (საფრანგეთი). ვაჟები. იუგოსლავია — სსრკ — 100:69. ბულგარეთი — საფრანგეთი — 93:81; იუგოსლავია — ბულგარეთი — 116:61, საფრანგეთი — სსრკ — 103:96, იუგოსლავია — საფრანგეთი — 71:63 (43:38), სსრკ — ბულგარეთი — 98:78 (55:46). 1. იუგოსლავია — 6 ქულა; 2.-4 სსრკ, საფრ[illegible]ეთი, ბულგარეთი — 2-2.

### რაგბი

საერთაშორისო მატჩი. ჰამილტონი (ახალი ზელანდია). ახალი ზელანდია — სსრკ — 56:6.

### ფეხბურთი

„ოთხთა ტურნირი". შვეცია. მეორე ნახევარფინალი. გეტბორგი. სსრკ — შვეცია — 3:2 დამატებით დროში (0:1, 1:1). მატჩი მესამე ადგილისათვის. ნორჩოპინგი. შვეცია — დანია — 4:0 (1:0). ფინალი. სტოკჰოლმი. სსრკ — იტალია — 2:3 — პენალტებით (1:1, 1:1).

„პრეზიდენტის თასი" გათამაშება. სეული (სამხრეთ კორეა). ნახევარფინალები. ეგვიპტე — სსრკ-2 — 2:1, სამხრეთ კორეა-1 — ავსტრალია — 4:3, — პენალტებით (ძირითადი დრო — 0:0). ფინალი. ს. კორეა -1 — ეგვიპტე — 2:0.

მე-VI მსოფლიო ჩემპიონატი იუნიორთა შორის (20 წლამდე). პორტუგალია. პირველი ტური. „ა" ჯგუფი. პორტუგალია — ირლანდია — 2:0, არგენტინა — კორეა — 0:0, „ბ" ჯგუფი. მექსიკა — შ[illegible]ცია — 3:0, ბრაზილია — კოტ დ'ივუა[illegible] — 2:1, „გ" ჯგუფი. სსრკ — ეგვიპტე [illegible], ავსტრია — ტრინიდადი და ტობაგო — 2:0. „დ" ჯგუფი. ესპანეთი — ინგლისი — 1:0, ურუგვაი — სირია — 0:1. მეორე ტური. „ა" ჯგუფი. ირლანდია — კორეა — 1:1. პორტუგალია — არგენტინა — 3:0, „ბ" ჯგუფი. ბრაზილია — მექსიკა — 2:2. „გ" ჯგუფი. სსრკ — ავსტრია — 0:1, ეგვიპტე — ტრინიდადი და ტობაგო — 6:0, ინგლისი — სირია — 3:3.



# „შოკური თერაპია" „მაკლარენისთვის"

ფორმულა 1 ავტორბოლაში მსოფლიო ჩემპიონატის მეექვსე ეტაპი თავისებური „შოკური თერაპია" გამოდგა „მაკლარენის" გუნდისათვის. ჯერ იყო, მან „წმინდად" წააგო „უილიამსთან" საკვალიფიკაციო რბოლები, შემდეგ კი თვით „გრან პრიც" დათმო, რომელშიც მსოფლიო ჩემპიონი ბრაზილიელი აირტონ სენა მხოლოდ მესამე ადგილით „დაკმაყოფილდა".

ამასთან, „უილიამსის" ტრადიციულად ხუსტმა ადგილმა — სიჩქარეთა ნახევრად-ავტომატურმა კოლოფმა ამჯერად ბოლომდე შესანიშნავად შეასრულა თავისი ფუნქცია. „რენოს" ძრავის ახალმა მოდიფიკაციამაც გაამართლა, ხოლო გუნდის სპონსორმა „ელფმა" საწვავის იდეალურ შემადგენლობას მიაგნო. ასე რომ, ბოლო სიტყვა პილოტებს უნდა ეთქვათ და ასეც მოხდა.

„ძმები როდრიგესების" ავტოდრომზე მექსიკის დიდი პრიზის გათამაშებისას მოულოდნელობები საკმაოზე მეტი იყო. ძლიერი წვიმების შემდეგ ერთბაშად დაცხა. მექანიკოსებს წამდაუწუმ უხდებოდათ გადახურებულ ძრავებში კირკიტი. საკვალიფიკაციო შეჯიბრებისას ნაიჯელ მენსელიც და რიკარდო პატრეზეც რიგრიგობით აუმჯობესებდნენ 1 წრის გავლისათვის „განკუთვნილ" დროს. პატრეზემ ტრასის არაოფიციალური რეკორდიც დაამყარა — 4,421 კმ სიგრძის წრე გაიარა 1 წუთსა და 16,96 წამში (207,515 კმ სთ სიჩქარით). მენსელმა მასთან სულ 0,18 წამი წააგო.

სენა ისე აზარტულად ცდილობდა მეტოქეთა შედეგების გაუმჯობესებას, რომ ფინიშის წინ 180⁰-იან ვირაჟზე ვერ შეხძლო თავისი „მაკლარენის" დამორჩილება და დამცველ ბარიერს დაეჯახა. ძლიერმა დარტყმამ მანქანა ისევ ტრასაზე გადმოისროლა და ამოაყირავა. საბედნიეროდ, პილოტი არ დაშავებულა. სენა სარეზერვო მანქანაზე გადაჯდა და კვლავ შეეცადა თავისი დროის გაუმჯობესებას, მაგრამ უშედეგოდ.

რა მოხდა? მიზეზი ალბათ ისიც იყო, რომ რბოლამდე ერთი კვირით ადრე სენა წყლის მოტოციკლით სეირნობისას 150 კმ სთ სიჩქარეზე მანქანასთან ერთად ამოტრიალდა. ექიმებმა მას ოცამდე ნაკერი დაადეს. მეხიკოში არც „უილიამსს" ჰქონდა ყველაფერი რიგზე. უკვე მერამდენედ, მექსიკაში საჭმლისაგან მოიწამლა მენსელი. იგივე ბედი ეწია პატრეზეს, ოღონდ უფრო მძიმე ფორმით. იმასაც ამბობდნენ, რომ იგი „გრან პრის" გათამაშებაში მონაწილეობას ვერ მიიღებდა. მაგრამ მკურნალებმა შესძლეს პილოტის ფეხზე წამოყენება.

კვირას, რბოლისას, არანორმალური სიცხე და ტენიანობა იყო. სტარტის მოლოდინში სენამ დროებით გამორთო ძრავა, რომ არ გადახურებულიყო. მაგრამ მსაჯის ნიშანზე ხელახლა დაქოქვა ველარ მოახერხა. გამოცხადდა „ტექნიკური ფალსტარტი" და 15 წუთიანი შესვენება ძრავების გასაციებლად. ასეთ შემთხვევაში, წესებით, რბოლა 1 წრით მოკლდება. ხელმეორე სტარტის დროს სენას ბედი გაიზიარა ფრანგმა ოლივიე გრუილიარმა. სტარტი ამჯერადაც გადაიდო და რბოლას კიდევ 1 წრე მოაკლდა.

მესამე ცდაზე რბოლა, როგორც იქნა, დაიწყო. წინა ეტაპის ანალოგიურად, მენსელმა სტარტი ამჯერადაც მოიგო და უკან ჩამოიტოვა პირველ პოზიციაზე მდგომი პატრეზე. იტალიელს სენამ და ჟან ალეზიმაც გაასწრეს. თავიდან სენა მეორე მიდიოდა და წამდაუწუმ მენსელის გასწრებას ცდილობდა. ამ უკანასკნელმა ერთ-ერთ სწორ მონაკვეთზე მკვეთრი მანევრით კიდევ უფრო შორს ჩამოიტოვა მსოფლიო ჩემპიონი. მე-12 წრეზე სენას პატრეზემაც გაასწრო საკმაოდ იოლად, ეს კი „რენოს" ძრავიან „უილიამსის" დიდ შესაძლებლობებზე მეტყველებს.



რიკარდო პატრეზე
იტალია

დაიბადა 1954 წლის 17 აპრილს, პადუაში. ფორმულა 1 ავტორბოლაში იტალიელი პილოტის დებიუტი 1977 წელს მონაკოში შედგა. პირველი დიდი პრიზიც სწორედ მონაკოს ტრასაზე მოიგო 5 წლის შემდეგ. მაშინ იგი „ბრებჰემით" ასპარეზობდა. 1987 წლის ბოლო ეტაპზე ავსტრალიაში პატრეზემ „უილიამსის" დაშავებული მძღოლი მენსელი შეცვალა და მას აქეთ 4 წელია ამ გუნდის სახელით გამოდის.

პატრეზე ფორმულის ყველაზე სტაჟიანი პილოტია. მას ეკუთვნის ერთობ პრესტიჟული რეკორდი — 214 რბოლაში აქვს მიღებული მონაწილეობა.

ისიც უნდა ითქვას, რომ რიკარდო არასდროს ყოფილა ფავორიტთა შორის. ის საშუალო კლასი: მძღოლია. ჩემპიონატებში ასპარეზობს 14 წლის მანძილზე მისი საუკეთესო შედეგია მესამე ადგილი საერთო ჩათვლაში 1989 წელს.

აღსანიშნავია, რომ იტალიელ მრბოლს ასაკში შესვლისას დაუდგა საუკეთესო დღეები. 12 პირველობაში მონაწილეობის შემდეგ მის აქტივში სულ 89 ქულა იყო 176 რბოლაში. უკანასკნელი 2,5 წლის მანძილზე კი მხოლოდ 38 რბოლაში აჩვენა თითქმის ასეთივე შედეგი — 83 ქულა.

სადღეისოდ, 37 წლის პილოტის ანგარიშზეა 4 მოგებული „გრან პრი" 214 რბოლიდან და 172 ქულა.

სწორედ მაშინ დადგა ყველაზე მძიმე მომენტი გუნდის შეფის ფრენკ უილიამსისათვის, რომელიც მძიმე ავარიის შემდეგ პარალიზებულია და მხოლოდ ინვალიდთა საგორავით აზერხებს გადაადგილებას. უილიამსი რაციით ცდილობდა თავისი პილოტების დაწყნარებას, რომლებიც უკვე ერთმანეთს ებრძოდნენ პირველობისათვის.

მე-15 წრეზე მენსელის მოწ[illegible]აპოსტს ძრავა გადაუხურდა და პილოტმაც მ[illegible]ურად დაუგდო სიჩქარე. პატრეზემ ამით ისარგებლა და წინ გაიჭრა. 35-ე წრეზე კი თანაგუნდელს უკვე 25 წამით უსწრებდა. 50-ე წრიდან მენსელმა „დასვენებული" ძრავით შეუტია ლიდერს და ისეთი სისწრაფე განავითარა, რომ ტრასის რეკორდიც კი დაამყარა — 207,267 კმ სთ. ძველი მიღწევა ალენ პროსტს ეკუთვნოდა — 204,156 კმ სთ.

ფრანგ პილოტს მექსიკაში აშკარად არ წყალობდა ბედი. მე-16 წრეზე მის „ფერარის" ელექტრონიკამ უმტყუნა და მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი რბოლას გამოეთიშა. 42-ე წრეზე მისი თანაგუნდელი ალეზიც გაჩერდა. უფრო ადრე კი ძრავამ უღალატა „მაკლარენის" მეორე პილოტს ავსტრიელ გერჰარდ ბერგერს. ძრავა გახდა კიდევ ერთი სამგზის ჩემპიონის, ბრაზილიელი ნელსონ პიკეს გაჩერების მიზეზიც.

როდესაც უკანასკნელი მოსახვევიდან გამოსვლის შემდეგ ორი „უილიამსი" თითქმის ერთდროულად მიიჭრა ფინიშთან, მაყურებლები ფეხზე წამოდგნენ და ისე მიესალმნენ გამარჯვებულებს. პატრეზემ სულ რაღაც 1,5 კორპუსით აჯობა მენსელს.

მეორე იტალიელ პილოტს ანდრეა დე ჩეზარისს უკანასკნელ წრეზე ბენზინი გაუთავდა. მრბოლი მანქანიდან გადმოვიდა და ხელით მიაგორა ფინიშთან. თავიდან მსაჯებმა წესის დარღვევა აღნიშნეს და სპორტსმენს დისკვალიფიკაცია მისცეს. დე ჩეზარისმა მსაჯების გადაწყვეტილება გააპროტესტა. ერთსაათიანი კამათის შემდეგ როგორც იქნა პილოტს მეოთხე ადგილი მიაკუთვნეს.

**მექსიკის „გრან პრის" შედეგები:**
**(67 წრე; 296,207 კმ)**

1. რიკარდო პატრეზე (იტალია, „უილიამსი") — 1:29.52,2 (197,75 კმ სთ); 2. ნაიჯელ მენსელი (დიდი ბრიტანეთი, „უილიამსი") — ჩამორჩა 1,336 წამით; 3. აირტონ სენა (ბრაზილია, „მაკლარენი") — ჩამორჩა 57,356 წამით; 4. ანდრეა დე ჩეზარისი (იტალია, „ჯორდანი") — ჩამორჩა 1 წრით; 5. რობერტო მორენო (ბრაზილია, „ბენეტონი") — 1 წრით; 6. ერიკ ბერნარი (საფრანგეთი, „ლოლა") — 1 წრით; 7. ჯანი მორბიდელი (იტალია, „მინარდი") — 2 წრით; 8. ტიერი ბუტსენი (ბელგია, „ლიჟიე") — 2 წრით; 9. მიკა ჰაკინენი (ფინეთი, „ლოტუსი") — 2 წრით; 10. ჯონი ჰერბერტი (დიდი ბრიტანეთი, „ლოტუსი") — 2 წრით; 11. სტეფანო მოდენა (იტალია, „ტირელი") — 2 წრით; 12. სატორუ ნაკაჯიმა (იაპონია, „ტირელი") — 3 წრით;

რბოლა ვერ დაამთავრეს:

13. მარკ ბლანდელი (დიდი ბრიტანეთი, „ბრებჰემი") — 13 წრე; 14. ბერტრან გაშო (ბელგია, „ჯორდანი") — 16 წრე; 15. აგური სუზუკი (იაპონია, „ლოლა") — 19 წრე; 16. ნელსონ პიკე (ბრაზილია, „ბენეტონი") — 28 წრე; 17. ჟან ალეზი (საფრანგეთი, „ფერარი") — 25 წრე; 19. მიქელე ალბორეტო (იტალია, „ფუტვორკი") — 43 წრე; 20. მარტინ ბრანდლი (დიდი ბრიტანეთი, „ბრებჰემი") — 47 წრე; 21. ივან კაპელი (იტალია, „ლეიტონი") — 48 წრე; 22. ალენ პროსტი (საფრანგეთი, „ფერარი") — 51 წრე; 23. მაურიციო გუჟელმინი (ბრაზილია, „ლეიტონი") — 52 წრე; 24. ოლივიე გრუილიარი (საფრანგეთი, „ფონდმეტალი") — 54 წრე; 25. გერჰარდ ბერგერი (ავსტრია, „მაკლარენი") — 62 წრე; 26. პიერლუიჯი მარტინი (იტალია, „მინარდი") — 63 წრე.

საერთო ჩათვლა. კონსტრუქტორები: 1. „მაკლარენი" — 54 ქულა; 2. „უილიამსი" — 33 ქულა; 3. „ბენეტონი" — 21 ქულა; 4. „ფერარი" — 16; 5. „ტირელი" — 11; 6. „ჯორდანი" — 8; 7. „დალარა" — 5; 8. „მინარდი" — 3; 9. „ლოტუსი" — 3; 10. „ლოლა" — 2.

**ბორის მიხაილოვი,**
საკდესის მიმომხილველი,
სპეციალურად „სარბიელისთვის".

| |  | | აშშ | ბრაზილია | სან-მარინო | მონაკო | კანადა | მექსიკა | საფრანგეთი | ინგლისი | გერმანია | უნგრეთი | ბელგია | იტალია | პორტუგალია | ესპანეთი | იაპონია | ავსტრალია | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | აირტონ სენა<br>ბრაზილია | მაკლარენი | 10 | 10 | 10 | 10 | — | 4 | | | | | | | | | | | 44 |
| 2 | რიკარდო პატრეზე<br>იტალია | უილიამსი | — | 6 | — | — | 4 | 10 | | | | | | | | | | | 20 |
| 3 | ნელსონ პიკე<br>ბრაზილია | ბენეტონი | 4 | 2 | — | — | 10 | — | | | | | | | | | | | 16 |
| 4 | ნაიჯელ მენსელი<br>დიდი ბრიტანეთი | უილიამსი | — | — | — | 6 | 1 | 6 | | | | | | | | | | | 13 |
| 5 | ალენ პროსტი<br>საფრანგეთი | ფერარი | 6 | 3 | — | 2 | — | — | | | | | | | | | | | 11 |
| 6 | გერჰარდ ბერგერი<br>ავსტრია | მაკლარენი | — | 4 | 6 | — | — | — | | | | | | | | | | | 10 |
| 7 | სტეფანო მოდენა<br>იტალია | ტირელი | 3 | — | — | — | 6 | — | | | | | | | | | | | 9 |
| 8 | ანდრეა დე ჩეზარისი<br>იტალია | ჯორდანი | — | — | — | — | 3 | 3 | | | | | | | | | | | 6 |
| 9 | ჟან ალეზი<br>საფრანგეთი | ფერარი | — | 1 | — | 4 | — | — | | | | | | | | | | | 5 |
| 10 | რობერტო მორენო<br>ბრაზილია | ბენეტონი | — | — | — | 3 | — | 2 | | | | | | | | | | | 5 |

## გერმანია

ჩემპიონატის ბოლო ტურის წინ ლიდერი „კაიზერსლაუტერნი" „ბაიერნს" ორი ქულით უსწრებდა და ჩემპიონობის მოსაპოვებლად კიოლნში ადგილობრივ გუნდთან შეხვედრაში ერთი ქულაც ჰყოფნიდა. „კაიზერსლაუტერნმა" მატჩი შესანიშნავად ჩაატარა და დიდი ანგარიშით (6:2) გაიმარჯვა.

„კაიზერსლაუტერნის" უშუალო კონკურენტმა „ბაიერნმა" შინ ფრედ (2:2) ითამაშა ურდინგენის „ბაიერთან". სხვა მატჩები: „ვატენშაიდი" — „ნიურნბერგი" 0:1, „ბორუსია" (მიონხენგლადბახი) — „ფორტუნა" 2:0, „ჰამბურგი" — „კარლსრუე" 2:2, „აინტრახტი" — „შტუტგარტი" 4:0, „ბორუსია" (დორტმუნდი) — „ზანქტ-პაული" 5:2, „ჰერტა" — „ბაიერი" (ლევერკუზენი) 1:2, „ვერდერი" — „ბოხუმი" 2:1.

„კაიზერსლაუტერნმა" ჩემპიონის ტიტული კლუბის ისტორიაში მესამედ, (თანაც 38 წლის შესვენების შემდეგ) მოიპოვა. იგი მომავალ სეზონში ჩემპიონთა თასზე იასპარეზებს. უეფა-ს თასზე გამოვლენ მიუნხენის „ბაიერნი", ბრემენის „ვერდერი", ფრანკფურტის „აინტრახტი" და „ჰამბურგი". გერმანიის თასის ფინალში ხვალ ერთმანეთს შეხვდებიან „ვერდერი" და „კიოლნი".

ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა მიუნხენის „ბაიერნის" თავდამსხმელი როლანდ ვოლფარტი — 21 გოლი.

პირველ ლიგას დასტოვებენ ურდინგენის „ბაიერი" და ბერლინის „ჰერტა", ხოლო მე-16 ადგილზე გასული ჰამბურგის „ზანქტ-პაული" მეორე ლიგაში მესამე ადგილზე გასულ გუნდს შეხვდება.

გაისად ბუნდესლიგა 18-დან 20 გუნდამდე გაიზრდება: ლიგას ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ორი საუკეთესო გუნდი — როსტოკის „ჰანზა" და დრეზდენის „დინამო" შეუერთდება, ხოლო ყოფილ გდრ-ის ჩემპიონატში მესამე-მეექვსე ადგილზე გასული გუნდები გერმანიის მეორე ლიგაში ითამაშებენ. დანარჩენ გუნდებს, რომელთა შორის ისეთი ცნობილი კლუბებია, როგორიც „მაგდებურგი" და „ბერლინი" (ყოფილი „დინამო"), ზონალურ პირველობებში თამაში მოუწევთ.

გდრ-ის უკანასკნელი ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია დრეზდენის „დინამოს" ფეხბურთელი გუთშოვი — 20 გოლი.

### 1990—91 სეზონის საბოლოო ცხრილი (გფრ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კაიზერსლაუტერნი" | 34 | 19 | 10 | 5 | 72-45 | 48 |
| „ბაიერნი" | 34 | 18 | 9 | 7 | 74-41 | 45 |
| „ვერდერი" | 34 | 14 | 14 | 6 | 46-29 | 42 |
| „აინტრახტი" (ფრანკფურტი) | 34 | 15 | 10 | 9 | 63-40 | 40 |
| „ჰამბურგი" | 34 | 16 | 8 | 10 | 60-38 | 40 |
| „შტუტგარტი" | 34 | 14 | 10 | 10 | 57-44 | 38 |
| „კიოლნი" | 34 | 13 | 11 | 10 | 50-43 | 37 |
| „ბაიერი" (ლევერკუზენი) | 34 | 11 | 13 | 10 | 47-46 | 35 |
| „ბორუსია" (მიონხენგლადბახი) | 34 | 9 | 17 | 8 | 49-54 | 35 |
| „ბორუსია" (დორტმუნდი) | 34 | 10 | 14 | 10 | 46-57 | 34 |
| „ვატენშაიდი" | 34 | 9 | 15 | 10 | 42-51 | 33 |
| „ფორტუნა" | 34 | 11 | 10 | 13 | 40-49 | 32 |
| „კარლსრუე" | 34 | 8 | 15 | 11 | 46-52 | 31 |
| „ბოხუმი" | 34 | 9 | 11 | 14 | 50-52 | 29 |
| „ნიურნბერგი" | 34 | 10 | 9 | 15 | 41-54 | 29 |
| „ზანქტ-პაული" | 34 | 6 | 15 | 13 | 33-53 | 27 |
| „ბაიერი" (ურდინგენი) | 34 | 5 | 13 | 16 | 34-54 | 23 |
| „ჰერტა" | 34 | 3 | 8 | 23 | 37-85 | 14 |

### 1990-91 სეზონის საბოლოო ცხრილი (გდრ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ჰანზა" | 26 | 13 | 9 | 4 | 44-25 | 35 |
| „დინამო" (დრეზდენი) | 26 | 12 | 8 | 6 | 48-28 | 32 |
| „როტ-ვაისი" | 26 | 11 | 9 | 6 | 30-26 | 31 |
| „ჰემი" | 26 | 10 | 9 | 7 | 40-31 | 29 |
| „ქემნიცი" | 26 | 9 | 11 | 6 | 24-23 | 29 |
| „კარლ ცაისი" | 26 | 12 | 4 | 10 | 41-36 | 28 |
| „ლოკომოტივი" (ლაიპციგი) | 26 | 10 | 8 | 8 | 37-33 | 28 |
| „შტალი" (ბრანდენბურგი) | 26 | 9 | 9 | 8 | 34-31 | 27 |
| „შტალი" (აიზენჰიუტენშტადტი) | 26 | 7 | 12 | 7 | 29-25 | 26 |
| „მაგდებურგი" | 26 | 9 | 8 | 9 | 34-32 | 26 |
| „ბერლინი" | 26 | 7 | 8 | 11 | 25-39 | 22 |
| „ზაქსენი" | 26 | 6 | 10 | 10 | 28-38 | 22 |
| „ენერგი" | 26 | 3 | 10 | 13 | 21-38 | 16 |
| „ვიქტორია" | 26 | 4 | 5 | 17 | 29-54 | 13 |

## თურქეთი

თურქეთის ჩემპიონის წოდებისთვის ბრძოლა სტამბულის ორ გუნდს „გალათასარაისა" და „ბეშიქთაშს" შორის მიმდინარეობდა. პირველი წრის შემდეგ წინ „გალათასარაი" იყო, მაგრამ მეორე წრეში „ბეშიქთაშმა" მხოლოდ 5 ქულა დაკარგა და ჩემპიონობა მოიპოვა.

„ბეშითქთაში" ჩემპიონთა თასზე ითამაშებს, „გალათასარაი" — თასების მფლობელთა თასზე, ხოლო „ტრაბზონსპორი" — უეფას თასზე.

ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი 51 ბურთით „გალათასარის" თავდამსხმელი თანჟუ ჩოლაქი გახდა.

### 1990-91 სეზონის საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ბეშიქთაში" | 30 | 20 | 9 | 1 | 63-24 | 69 |
| „გალათასარაი" | 30 | 19 | 7 | 4 | 68-31 | 64 |
| „ტრაბზონსპორი" | 30 | 14 | 9 | 7 | 55-37 | 51 |
| „სარიერი" | 30 | 11 | 12 | 7 | 39-34 | 45 |
| „ფენერბაჩე" | 30 | 12 | 8 | 10 | 53-53 | 44 |
| „ბაქირქოისპორი" | 30 | 12 | 7 | 11 | 53-41 | 43 |
| „ანკარაგიუჩუ" | 30 | 11 | 8 | 11 | 46-48 | 41 |
| „ბურსასპორი" | 30 | 11 | 5 | 14 | 31-36 | 38 |
| „ბოლუსპორი" | 30 | 8 | 13 | 9 | 35-37 | 37 |
| „გენჩლერბირლიგი" | 30 | 9 | 9 | 12 | 36-47 | 36 |
| „აიდინსპორი" | 30 | 7 | 13 | 10 | 44-51 | 34 |
| „ქონიასპორი" | 30 | 10 | 4 | 16 | 33-45 | 34 |
| „გაზიანთეფსპორი" | 30 | 9 | 6 | 15 | 29-45 | 33 |
| „ზეითინბურნუსპორი" | 30 | 6 | 11 | 13 | 26-40 | 29 |
| „ქარშიაკა" | 30 | 6 | 8 | 16 | 32-50 | 26 |
| „ადანასპორი" | 30 | 5 | 11 | 14 | 34-58 | 26 |


კავკასიის ბირჟა

საბროკერო ფირმების საყურადღებოდ!

მომზადებულია და ბირჟის საბჭოს მიერ დამტკიცებულია „კავკასიის ბირჟაზე" საბროკერო ფირმების საქმიანობისა და ვაჭრობის დაწყებისათვის აუცილებელი დოკუმენტების პაკეტი.

პაკეტში მოცემულია:
— საბირჟო ვაჭრობის დროებითი წესები;
— ხელშეკრულება საბროკერო მომსახურებაზე (ბროკერი — კლიენტი);
— საბროკერო ხელშეკრულება (ბროკერი — ბროკერი);
— გარიგებათა გაფორმებისათვის საჭირო სხვა ტიპური დოკუმენტები.

დოკუმენტების პაკეტთან ერთად შეგიძლიათ მიიღოთ აგრეთვე საბროკერო ფირმების დამფუძნებელი ხელშეკრულებები, ტიპური წესდებები, როგორც მცირე საწარმოებისათვის, ისე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებისათვის.

ამ დოკუმენტის მიღება შეიძლება 20 ივნისიდან, 10-დან 17 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა) „კავკასიის ბირჟაზე", ახალი მისამართით:

ვაჟა ფშაველას გამზ., 72
საკონტაქტო ტელეფონი — 38-46-90

კავკასიის ბირჟა

სააქციონერო საზოგადოება
„კავკასიის ბირჟა"
სარეკლამო სააგენტო
„მი-მი-ნო"



# კომერციული ბანკი „საქართველო" — დამაჯერებელი სტარტი



კომპლექსური მომსახურება მაღალ დონეზე!

მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსური მხარდაჭერა;

სავალუტო ოპერაციები;

ლიზინგი;

ფაქტორინგი.

КОММЕРЧЕСКИЙ БАНК
GEORGIA ГРУЗИЯ
საქართველო
კომერციული ბანკი

რეგისტრირებულია 1991წ. 14 მაისს
ანგარიში №000161226
МФО 521006
მისამართი: 380012, ქ.თბილისი,
შოთა იამანიძის ქ. №5
ტელეფონი: 35-29-94

კომერციული ბანკი
„საქართველო"
სარეკლამო სააგენტო
„მი-მი-ნო"



1990 წელი. სიეტლი. ბარელის (მარჯვნივ) პირველი გამარჯვება ლუისზე.

# გამართლებული პროგნოზი

100 მეტრზე რბენა მძლეოსნობის გამორჩეული სახეობაა. ამ მიზეზით და კიდევ იმის გამო, რომ ხსენებულ სახეობას ტექნიკური სირთულე არ ახასიათებს, სპრინტერთა რეკორდები საკმაოდ იშვიათად იცვლება, თუმცა მსოფლიოში უსწრაფესი ადამიანის სახელი ბევრს, ძალიან ბევრს ნიშნავს ნაბისმიერი მძლეოსნისათვის.

ამ რამდენიმე დღის წინათ სეულის ოლიმპიადის ჩემპიონმა, ამერიკელმა ლეროი ბარელმა ახალი რეკორდი დაამყარა: 100 მეტრი 9,90 წამში დაფარა. ამ ისტორიულ გარბენში მონაწილეობდა მისი წინამორბედიც, სახელგანთქმული კარლ ლუისი, რომელიც თვითონვე გახდა საკუთარი რეკორდის დამხობის მოწმე. ექვსგზის ოლიმპიური ჩემპიონი თავადაც ძალზე მონდომებული იყო და კინაღამ შესძლო თავისივე მიღწევის გამეორება (9.92). სხვათა შორის, ორივე სპრინტერი ერთი კლუბის „სანტა მონიკას" წევრებია.

100 მეტრზე რბენა, უკვე ვთქვით, მძლეოსნობის კონსერვატიულ დისციპლინათა რიცხვს მიეკუთვნება. ამიტომ რეკორდსმენებიც მუდამ გამორჩეული ადამიანები იყვნენ. მთელ 15 წელიწადს გაძლო ამერიკელი ჯიმ ჰაინსის მიერ ჯერ კიდევ 1968 წელს მეხიკოს ოლიმპიადაზე დამყარებულმა მსოფლიო რეკორდმა (9.95). იგი ჰაინსის თანამემამულემ კელვინ სმითმა განაახლა 1983 წელს (9.93). შემდეგ ჯონსონის მიღწევებმა გააოგნა ხალხი. ჯერ 9.83, შემდეგ კი, უკვე სეულის ოლიმპიადაზე, 9.79 — ეს მართლაც ფანტასტიკური მიღწევები იყო.

თუმცა მალე გამოირკვა, რომ კანადელ სპრინტერს მარტო ფეხები კი არა, დოპინგიც მიაქროლებდა ასე სწრაფად. მისი შედეგები გაუქმდა.

საერთოდ, თუკი მძლეოსნობის ისტორიას გადავხედავთ, გარკვეული ანალიზის შემდეგ იოლად შევამჩნევთ, რომ ძველი მორბენლები ახლებს ბევრად არ ჩამოუვარდებოდნენ. ამერიკელმა რობერტ ჰეიესმა (100 მეტრზე რბენა მართლაც ამერიკელთა სახეობაა) ტოკიოს ოლიმპიადაზე დისტანცია ზუსტად 10 წამში დაფარა (ეს ელექტროწამმზომზე 10, 20-10, 25 წამს უდრის), თან ეს „შავი ყუმბარა" ყოველ ნაბიჯზე არეკნით თითქმის ნახევარმეტრიან ორმოებს თხრიდა. ჰეიესს მაშინ წიდიან ბილიკზე კი არა, სინთეტიკურ საფარზე რომ ერბინა, ალბათ ბარელსაც გაუწევდა მეტოქეობას.

მიღწეულზე ალბათ არც ახალი რეკორდსმენი შეჩერდება, რადგან... სხვებმაც იციან, რას ნიშნავს რეკორდსმენის სახელი 100 მეტრზე რბენაში.

„მე ვთვლი, რომ რბენის საუკეთესო ტექნიკა მაქვს, — თქვა ლეროი ბარელმა გასული სეზონის ბოლოს, — წლეულს ყველა შეჯიბრებაში გავიმარჯვე, მაგრამ უკან მოხედვა არ არის საჭირო, ყოველი ახალი სტარტის წინ წარსული თავის მნიშვნელობას კარგავს. ჩემთვის რეალურია ამოცანა, ვირბინო სარეკორდო მაჩვენებლით. უკვე მივუახლოვდი ასეთ შედეგს, საჭიროა მხოლოდ შესაფერისი შეჯიბრება და ძლიერი მეტოქეები".

როგორც ხედავთ, რეკორდსმენის პროგნოზი გამართლდა.

ნინო მჭედლიძე

# საბერძნეთის გადაწყვეტილება

საბერძნეთი ბოიკოტს არ გამოუცხადებს ატლანტის 1996 წლის ოლიმპიადას და თავის სპორტსმენებს გაგზავნის ამერიკის შეერთებულ შტატებში ზაფხულის თამაშებში საასპარეზოდ. ეს უკვე გამოაცხადა ამ ქვეყნის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა. ამავე დროს, როგორც განცხადებაშია ნათქვამი, საბერძნეთს იმედი ჰქონდა, რომ 1996 წელს, როცა მთელი სპორტული საზოგადოებრიობა თანამედროვეობის პირველი ოლიმპიური თამაშების ასი წლისთავს აღნიშნავს, ასპარეზობის მასპინძლის სტატუსს სწორედ ეს ქვეყანა მიიღებდა — პირველი თამაშები ხომ 1896 წელს სწორედ ათენში გაიმართა. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა სრულიად საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მიიღო და უპირატესობა ატლანტას მიანიჭა.

მაგრამ საბერძნეთს — ოლიმპიადების სამშობლოს — განზრახული აქვს ასი წლის იუბილე თავის ქვეყანაში იზეიმოს. ბერძნები 1996 წელს ათენში პირველი საერთოევროპული თამაშების მოწყობას აპირებენ. საინტერესო წინადადებაა, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ორგანიზატორებს ძალიან ბევრი სირთულე შეხვდებათ — ოლიმპიური წლის საეთაშორისო კალენდარი ძალზე გადატვირთულია და გაჭირდება „ფანჯრის" გამონახვა.

ამ საკითხთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებენ მომავალი წლის დამდეგს ევროპული თანამეგობრობის სპორტის მინისტრთა კონფერენციაზე, რომელიც საბერძნეთის კუნძულ როდოსზე ჩატარდება. მაგრამ საბერძნეთის მხარდასაჭერად უკვე წარადგინეს განცხადებები. საერთაშორისო სამოყვარულო მძლეოსნური ფედერაციის საბჭომ წამოაყენა წინადადება, რომ ოლიმპიადების ასი წლისთავის დღესასწაულის ფარგლებში ათენში მოეწყოს მსოფლიო თასის გათამაშება მარათონულ რბენაში.

კახა მაჭავარიანი

ტუნისში ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თაოსნობითა და [illegible] საქმეთა სამინისტროს ხელშეწყობით შეიქმნა ეროვნული ოლიმპიური აკადემია. მისი მიზანია ოლიმპიური პრინციპების და იდეალების, პატიოსანი სპორტული მეტოქეობის სულისკვეთების დანერგვა, გავრცელება და პროპაგანდა, ყოველგვარი ძალმომრეობის წინააღმდეგ ბრძოლა... აკადემიასთან შეიქმნება ოლიმპიური ბიბლიოთეკა და ვიდეოთეკა.

■ ■ ■

ბელგრადის "ცრვენა ზვეზდას" თითეულმა მოთამაშემ ჩემპიონთა თასის გათამაშებაში გამარჯვებისათვის 65 ათასი გერმანული მარკა მიიღო. ახეთივე პრემია მიეცათ გუნდის მწვრთნელს ლიუპკო პეტროვიჩს და კლუბის ტექნიკურ დირექტორს დრაგან ჯაიჩს. ფეხბურთელებს, რომლებიც ბარის სტადიონზე მარსელის „ოლიმპიკთან" გამართული ფინალური მატჩის დღეს თადარიგში იყვნენ პრემიის ნახევარი ხვდათ.

■ ■ ■

გაზეთ „ჩეხოსლოვენსკი სპორტის" მიერ მკითხველთა შორის ჩატარებული გამოკითხვის შედეგად ბოლო ათწლეულში ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენად დასახელებულია სახელგანთქმული ჩოგბურთელი ივან ლენდლი. იგი დიდი ხანია აღარ ცხოვრობს ჩეხოსლოვაკეთში, მაგრამ მოქალაქეობა დღემდე არ შეუცვლია. ლენდლმა 1915 ქულა მოაგროვა. მეორეზე მძლეოსანი იარმილა კრატოხვილოვა — 1881, მესამეზე მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონები ფიგურულ სრიალში, ძმები იან და ონდრეი პოსპიშილები — 785.

■ ■ ■

ლონდონიდან ტრაგიკული ცნობა მოვიდა: ინგლისის დედაქალაქის სამხრეთ გარეუბანში, გზატკეცილზე 10-კილომეტრიანი გუნდური რბოლის დროს დაიღუპა ველოსიპედისტი ანდრიან ტიმსონი, რომელიც ტრასაზე დაეცა.

22 წლის სპორტსმენი ქვეყნის ოლიმპიური გუნდის იმედი იყო.

■ ■ ■

სახელგანთქმული გერმანელი მოცურავე მიხაელ გროსი გამოეთხოვა აუზს, მაგრამ სპორტი არ მიუტოვებია. იგი უნივერსიტეტს ამთავრებს და სპორტული ჟურნალისტის დიპლომს მიიღებს. გარდა ამისა, გროსმა ავტორბოლაშიც სცადა ბედი და უკვე ივნისის დამლევს გამოვა შეჯიბრებაში „ნიურნბერგრინგის 24 საათი". მისი ეკიპაჟის მეორე წევრი იქნება ასევე ცნობილი გერმანელი მოცურავე რაინერ ჰენკელი. ისინი „პორშეს" ავტომობილით იასპარეზებენ.

■ ■ ■

ავსტრალიელმა პიტერ ბერდმა გადაწყვიტა ჩვეულებრივი ნავით გადაცუროს წყნარი ოკეანე. მისი ვარაუდით, ამას დაახლოებით 200 დღე უნდა დასჭირდეს. როცა ჟურნალისტებმა ჰკითხეს, მაინც რა ფიქრებით იქნებით გატაცებული ეხოდენ ხანგრძლივი მოგზაურობის დროსო, პიტერმა მიუგო: „პირველ ყოვლისა იმაზე ვიფიქრებ, რომ მე, ინჟინერ-კიბერნეტიკოსს, უნივერსიტეტი თუმცა წარჩინებით დავამთავრე, აგერ უკვე ორი წელია სამსახური ვერ მიშოვია..."

■ ■ ■

ჩეხოსლოვაკეთის ფეხბურთელთა ნაკრებმა კინაღამ დაკარგა მთავარი მწვრთნელი. მილან მაჩალა თავისი სახლის სახურავს ლებავდა, ფეხი დაუცდა და მეორე სართულის სიმაღლიდან გადმოვარდა. კიდევ კარგი იქვე იყვნენ მისი ცოლი და ქალიშვილი. ორივენი ექიმები არიან და დაშავებულს პირველი დახმარება გაუწიეს. მაჩალა უკვე ყავარჯნებით დადის და ნაკრებსაც კი უხელმძღვანელა, რომელიც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ირლანდიის გუნდს ხვდებოდა.

აქეთური, იქითური...

# ნუ დაარღვევთ წესებს იპოდრომზე

ინგლისში, დოღების ჩატარებისას დაშვებული დარღვევების შემთხვევებს განიხილავს ჟოკეი-კლუბის სადისციპლინო კომიტეტი. ამასთან, სასჯელი ედებათ არამარტო დოღების უშუალო მონაწილეებს — ჟოკეებსა და მწვრთნელებს, არამედ მაყურებლებსაც.

ყველაზე უფრო გავრცელებული დარღვევაა ჟოკეის მიერ, დოღის დროს, გვერდით მოჭენავესთვის ხელის შეშლა. იმ შემთხვევაში, თუ მტკიცდება, რომ ეს არ იყო წინასწარგანზრახული მოქმედება, დანაშაული კვალიფიცირდება როგორც „უპასუხისმგებლობა" და სასჯელიც შედარებით ლმობიერია — დოღებში მონაწილეობის აკრძალვა ორი დღიდან ორ კვირამდე. გაცილებით მკაცრია სასჯელი მათთვის, ვინც შეგნებულად უშლის ხელს მეტოქეებს — დისკვალიფიკაცია ორი კვირიდან რამდენიმე თვემდე. ასე მაგალითად, 1986 წელს ერთ-ერთ ჟოკეის, მაკკორტს, წინაღობებიან დოღში მეტოქისთვის ხელის შეშლისათვის საერთოდ აუკრძალეს ასპარეზობებში მონაწილეობა.

კიდევ ერთი გავრცელებული დარღვევაა მათრახის „ბოროტად" გამოყენება. იმავე, 1986 წელს, ჟოკეი-კლუბის კომიტეტმა განიხილა ჟოკეი ლ.ჩარნოკის საქმე. როგორც ვიდეოჩანაწერის ნახვის შემდეგ გაირკვა, ჩარნოკი სტარტიდან ფინიშამდე განუწყვეტლივ ხმარობდა მათრახს მიუხედავად იმისა, რომ არ იყო ამის საჭიროება. ჟოკეი თავის გასამარ-თლებლად ამბობდა, რომ მისი ცხენი ძალზე ზანტია და ასეთი დავალება მას მწვრთნელმა მისცა. სასჯელად კომისიამ ჟოკეის 100 გირვანქა სტერლინგის გადახდა დააკისრა.

შედარებით იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება უფრო სერიოზული დარღვევები. ასეთთა რიცხვს განეკუთვნება ჟოკეის მიერ ქრთამის აღება. 1984 წლის დასაწყისში ჟოკეი ბ.ნუნიესს სამი წლით მისცეს დისკვალიფიკაცია ათასი გირვანქა სტერლინგის ქრთამად აღების გამო, რომელიც მას ვინმე ჰ.ბარდსლეიმ გადასცა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ დაუსჯელი არც ბარდსლეი დარჩა — მას 15 წლით აუკრძალეს ინგლისის იპოდრომებზე გამოჩენა. ცოტა ხნის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ იგივე პიროვნებამ საჩუქრის სახით ორი ბოთლი ვისკი გადასცა მეორე ჟოკეის. ეს „საჩუქარი" სადისციპლინო კომიტეტმა შეაფასა როგორც ქრთამი და ჟოკეი ნ.დეის სამი თვით აუკრძალა დოღებში მონაწილეობა. ქრთამის მიმცემს კიდევ სამი წლით გაუგრძელეს სასჯელი.

აქვე მოვიყვანთ ორ მაგალითს, როდესაც დოღების ჩატარების წესი დაარღვიეს მწვრთნელებმა. 1986 წელს მწვრთნელი ო.შერვუდი 250 გირვანქა სტერლინგით დაჯარიმდა იმის გამო, რომ ერთი და იგივე ჟოკეი განაცხადა ორ ცხენზე ერთ დოღში. იმავე წელს 200 გირვანქა სტერლინგით დაჯარიმდა მწვრთნელი მ.სთოუთი, რომელმაც სტარტზე არ გამოიყვანა განაცხადში შეყვანილი ცხენი სკოშიტ რილი.



გიორგი ქორჩია

# ცალი თვალით მაინც...

ამბობენ, რომ „ფლორიდის ესტაფეტები" ვილანოვის უნივერსიტეტის (პენსილვანის შტატი) მძლეოსანთა გუნდმა მოიგო. ამ სასწავლებლის ქალთა ოთხეული საუკეთესო იყო 4X400 მეტრზე ასპარეზობაში. ყოველ შემთხვევაში, ამას ამტკიცებენ თვით ტურნირის მონაწილენი და მათ, როგორც ჩანს, სიტყვაზე უნდა ვენდოთ, რადგან შეჯიბრების დროს ტრიბუნაზე კაცი არ ჭაჭანებდა და ახლომახლო არც რეპორტიორები ჩანდნენ.

მაინც რა მოხდა, რატომ იყო შეჯიბრება ასე „გასაიდუმლოებული"? ჯერ ერთი, ტურნირი შუაღამისას ჩატარდა — სტარტი სამის ნახევარზე იყო დანიშნული. მეორეც, ასე უჩვეულო დრო იმიტომ აირჩიეს, რომ ესტაფეტების მონაწილენი, მათ შორის ქალებიც, სარბიელზე დედიშობილა გამოვიდნენ და მთელი ასპარეზობა ასე შიშვლებმა ჩაატარეს.

სხვათა შორის, მსგავსი ასპარეზობა უკვე მეორედ ჩატარდა. შარშან „ფლორიდის ესტაფეტებში" აშშ-ის ექვსი უმაღლესი სასწავლებლის სპორტსმენებმა მიიღეს მონაწილეობა. ახლა სარბიელზე უკვე ათი გუნდი გამოვიდა. ეს მოწმობს, რომ ტურნირის პოპულარობა იზრდება. ასპარეზობა სტუდენტთა ეროვნული ათლეტიკური ასოციაციის შესაბამისი სანქციის გარეშე ტარდება. მიუხედავად ამისა, ცნობილი გახდა, რომ ამიერიდან ამგვარი „ღამეული" ასპარეზობანი სხვა შტატებშიც მოეწყობა.

ალექსანდრე ი...დაშვილი

# სოკ-ის სესიამ გადაწყვიტა

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 97-ე სესიაზე, რომელიც ბირმინგემში გაიმართა, სოკ-ის ახალ წევრად მიიღეს ნამიბიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი. იქვე გამოცხადდა, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ოლიმპიური უფლებების აღდგენის საკითხი შეიძლება გადაწყდეს რამდენიმე კვირის განმავლობაში.

პრესა აღნიშნავს, რომ სოკ-ს განსახილველად უდევს 30 განაცხადი გაწევრიანებაზე, მათ შორის ლიტვის, ლატვიის, ესტონეთისა და კატალონიის (ესპანეთი) ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების განაცხადები. ყველა ეს თხოვნა შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნეს მხოლოდ 1003 წელს. როცა ამ პრობლემას შეეხო, სოკ-ის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა განაცხადა, რომ „მსოფლიოში ვითარება იცვლება, ბევრ ქვეყანასა და რეგიონს სურს მიიღოს დამოუკიდებლობა, ჰქონდეს საკუთარი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, მაგრამ ეს ძალიან დელიკატური პრობლემაა"... ისიც აღნიშნა, რომ ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას მიიღებს 10 ათასი სპორტსმენი, აგრეთვე 5 ათასი სპეციალისტი.

## „სარბიელის" სპონსორია კოოპერატივი „ტრანსკავშირი"


გამოდის პარასკეობით

სარბიელი

ინდექსი 66441

ჩვენი მისამართი:
თბილისი 380060, ცაგერის ქ. №6, ბ.30.
გაზეთ „სარბიელის" რედაქცია.
ტელეფონი: 38-39-93.

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა კომპიუტერით ქსს გამოთვლით ცენტრში. ტელეფონი 35-26-44

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში
თბილისი, ხოშარაულის ქ. 29

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია.
სარედაქციო კოლეგია: ელგუჯა ბერიშვილი (რედაქტორის მოადგილე), გიორგი ქორჩია (პასუხისმგებელი მდივანი), შალვა შალოლაშვილი, გიორგი ჩოჩიშვილი.
კომერციული დირექტორი შოთა ფულუხაძე.